ეროვნული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტ. გაზეთი

№ 11 3 აგვისტო 1908 წ. ფასი 10 კ.

შინაარსი: ვ. მ. პეტრიაშვილი.—პროფესიონალურ მოძრაობის კრიზისი.—მკრთალი სურათნი, **ცახელის.**—სხვა და სხვა ამბები ჩვენსა და რუსეთში.—ოსმალეთი.—სპარსეთი.—დედები (მოთხრობა) **ან. ერისთავ-ხოშტარიასი.**—პროვინცია.—ავსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კონგრესზე, **მ. მგალობლიშვილის.**—დედა, როგორც აღმზრდელი (წერილი მუშა ხალხის დედებისადმი). თარგ. **ხ. ვ. კანდ—ის.**—წერილი რედაქციის მიმართ.

ვ. მ. პეტრიაშვილი

ქართველ სწავლულთა და მეცნიერთა პატარა ჯგუფს გამოაკლდა დიდი ძალა, მან დაჰკარგა საუკეთესო, საპატიო, მხცოვანი წევრი. ოდესის ქართველ სტუდენტობას აღარა ჰყავს თანამემამულე საყვარელი პროფესორი. 27 ივლისს ქ. კარლსბადში ფილტვების ანთებისაგან გარდაიცვალა **ვასილ მოსეს ძე პეტრიაშვილი.**

პროფესორი
ოდესის უნივერსიტეტის.

განსვენებული იყო ღარიბი მღვდლის შვილი. დაიბადა 1845 წელს. თბილისის სასულიერო სემინარიაში კურსის გათავების შემდეგ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც 1870 წ. ჩინებულათ დაამთავრა სწავლა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ბატაცებულმა მეცნიერებით მან მოიწადინა კიდევ სწავლის გაგრძელება და პროფესორათ დარჩენა, თუმცა რუსეთის ცნობილი პროფ. სეჩენოვი ეუბნებოდა თურმე: „სად „აზიელი“ და სად მეცნიერებაო!“ 1873 წ. გაემგზავრა საზღვარგარეთ და ბონის უნივერსიტეტში ისმენდა ლექციებს. 1874 წ. კვლავ დაბრუნდა ოდესაში და აქ სახელოვანათ დაიცვა დისერტაცია, რისთვისაც მიიღო ქიმიის მაგისტროობის ხარისხი. 1877 წელს მიიღო კიდევ მაღალი სამეცნიერო ხარისხი, დოქტოროობა. 1878 წელს გაგზავნეს საზღვარ გარეთ 2 წლით და პარიჟის უნივერსიტეტში ისმენდა ცნობილ მეცნიერების ლექციებს და მუშაობდა იმავე უნივერსიტეტის ლაბორატორიაში. საზღვარ გარეთიდან დაბრუნების შემდეგ განაგრძობდა ლექციების კითხვას ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მალე დანიშნულ იქმნა ფიზიკა-მატემატიკურ ფაკულტეტის დეკანათ. 1906 წელს არჩეულ იქმნა რექტორის თანამდებობის აღმასრულებლათ.

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩვენი დამსახურებული პროფესორი პოლიტიკურ ასპარეზზედაც გამოიყვანა. აღმოჩნდა, რომ მეცნიე-

რების ცივ აბჯარ ქვეშ მას უცემდა მხურვალე ბული მოქალაქისა. უნივერსიტეტის მემარცხენე პროფესორთაგან იგი არჩეულ იქმნა სახ. საბჭოს ამომრჩევლათ. სამჯერვე მემარცხენეთაგან არჩეულ იქმნა აგრეთვე სახ. დუმის ამომრჩეველათ. ეს გარემოება „ჰეშმარიტ რუსებისათვის“, რა თქმა უნდა, საერო გახდა, რომ „გაკადნიერებული“ მეცნიერი უმალვე ნიშანში ამოეღოთ; და მათი ცდა ხომ უნაყოფოთაც არ დარჩებოდა. დასაწყისისთვის ჩამოართვეს რექტორის თანამდებობა. მაგრამ მალე დაქანცული და დაავათმყოფებული ვ. პეტრიაშვილი საექიმოთ მიდის გერმანიაში და აი აქ ქ. კარლსბადში კიდეც საბოლოოთ ესალმება წუთი სოფელს.

განსვენებულის მრავალი სამეცნიერო გამოკვლევანი დაბეჭდილია როგორც რუსულ ისე ევროპიულ ენებზე. ქართულ ჟურნალებში იბეჭდებოდა და მერე ცალკე წიგნებათ გამოვიდა მისი საფუძვლიანი შრომა: მერძევეობის, მეღვინეობის, ვაზის და სხ. შესახებ.

განსვენებულს გადაწყვეტილი ჰქონოდა ამ შემოდგომაზე საბოლოოთ გადმოსახლებულიყო თავის სამშობლოში და აქ განეგრძო თვისი სამეცნიერო მუშაობა, აზრათ ჰქონოდა შესდგომოდა საქართველოს მთა-მადნეულ სიმდიდრეთა და ნიადაგის გამოკვლევას. მაგრამ ჩვენს ძვირფას მეცნიერს არ დასცალდა ეს დიდი ხნის წადილი სისრულეში მოეყვანა...

მადლიერი სამშობლო მხარე არ დაივიწყებს მოამაგე შვილის ხსოვნას.

პროფესიონალურ მოძრაობის კრიზისი.

რუსეთის იმპერიის მთელ დღევანდელ ცხოვრებას ერთი სიტყვა ახასიათებს „კრიზისი“, და ის მუშაობა, რასაც მისცემიან ქვეყნის სასიცოცხლო და შემოქმედებითი ძალები, აგრეთვე ერთი სიტყვით გამოითქმება: „სამზადისი“. საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველი სფერა, ყოველი დარგი დღეს ჩაწიხლულია და დიდის გაჭირვებით ღა იბრუნებს სულს. განვლილ ქარ-ტეხილს გადარჩენილი პოლიტიკური ორგანიზაციები, პარტიები და სხვა საზოგადოებრივი წრეები შესდგომიან „ძველ ღირებულებათა გადაფასებას“, იკვლევენ სასტიკ დამარცხებათა მიზეზებს, ეძებენ ახალ გზებს, ახალ ტაქტიკას შეცვლილ ვითარებასთან შესაგუებლათ, იკრებენ ძალღონეს არსებულ შავ-ბნელ მდგომარეობიდან გამოსასვლელათ და ცხოვრების ხელ-ახალ ასამოძრავებლათ.

სახელმწიფოს საერთო ვითარებას, რასაკვირველია, ვერ ასცილდებოდა ვერც მუშათა პროფესიონალური მოძრაობა. აქაც, როგორც ყველგან, დღეს მწვავე, უნუგეშობამდე მიმყვანი კრიზისია. აი აქეთკენ გვინდა მივაქციოთ ჩვენი მკითხველის ყურადღება.

თუ ამ სამოიდე წლის წინათ პროფესიონალური კავშირები საოცარის სისწრაფით იზრდებოდენ, თუ მაშინ ამ ორგანიზაციებმა პოლიტიკურ ავანსცენაზე გამოიტანეს „მუშათა დეპუტატების საბჭოები“ და აზვირთებული მუშათა მოძრაობა მთელ სახელმწიფო ცხოვრების უდიდეს ფაქტორათ გადიქცა, დღეს ვითარება აღარ იცნობა, დღეს მუშათა პროფესიონალური ორგანიზაციები ძლივს აღონღიალებენ საცოდავ არსებობას. „კავშირები“ ზოგან სრულიათ იხურება, ზოგან ნახევრდება წევრთა რიცხვი, და ზოგან დარჩენილი წევრებიც ველარ იხდიან ჩვეულებრივ საწევრო ფულს; კასსა ცარიელდება, საერთიერთო დახმარება თუ გაფიცვები უსახსროთ რჩება, კავშირების მოქმედება და მნიშვნელობა თითქმის გაბათილებულია. ამას ამოწმებენ თვით ოფიციალურ ორგანოებში გამოქვეყნებული სტატისტიკური ცნობები მაგ. რუსეთის პროფესიონალურ კავშირების ცენტრალური ბიუროს ანკეტით (გამოკვლევა) 1907 წ. დამდეგს „კავშირებში“ იმყოფებოდა 246 ათასი მუშა, ხოლო მიმდინარე წლის დამდეგს კი, Торгово-промышленная Газета-ს ცნობებით, შეკავშირებულ მუშათა რიცხვი იყო მხოლოოთ 130 ათასი, ე. ი. კავშირების წევრთა რიცხვი შემცირებულია 50%-ით; მოსკოვის რაიონსა და პოლონეთში კიდევ—იმავე ცნობებით—ეს შემცირება გამოხატულა 60% 80%-ით. როგორც იცით, მდგომარეობა ჩვენ მხარეშიაც უკეთესი არ არის.

რით აიხსნება „კავშირების“ ამ ზომამდე დაცემა? მუშათა წრეებში ჩვეულებრივათ ასეხელებენ „ხაზეინების“ მტაცებლობას, გაუმაძღრობას და ვერაგობას; ბურჟუაზიამ დრო იხელთა, მთავრობას დაუმეგობრდა რომ მის დახმარებით აიკლოს თვისი მოსისხლე მტრის ბანაკი, მოსპოს და გაანადგუროს—პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, პროფესიონალური კავშირებიო. ბურჟუაზის უკანასკნელ დროის მოქმედებას მუშების წინააღმდეგ, რასაკვირველია, ჰქონდა თვისი მავნე მნიშნელობა „კავშირების“ დაცემაში, მარა ეს მიზეზი თვითონ შედეგი იყო სხვა უფრო ძირითად მიზეზისა, და მეორეც, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ბურჟუაზია სრულებითაც არ არის დაინტერესებული მუშათა პროფესიონალურ კავშირების მოსპობა-განადგურებაში. თვით მუშათა მდგომარეობის განსაზღვრული გაუმჯობესობა, რასაც იძლევა ხოლმე პროფესიონალურ ორგანიზაციების მოქმედება, ხელ-საყრელია და ზოგჯერ აუცილებელი პირობაა ტეხნიკის პროგრესისათვის, მრეწველობის განვითარებისათვის; გარდა ამისა თანამედროვე ბურჟუაზიისათვის ბევრით უკეთესია საქმე იქონიოს მუშების კავშირთან, ვინემ სტიქიურ მასასთან, რომელსაც თავის მსვლელობა-მოქმედებაში არავითარი წინასწარ განსაზღვრული წესი და კანონი არ უწერია. და ეს იმდენათ მართალი არის, რომ თვითონ ოფიციოზური „Россія“ არა თაკილობს აღიაროს „კავშირების“ სასარგებლო მნიშვნელობა ქვეყნისათვის; მთავრობის გაზეთი საჭიროთა სცნობს დამყარდეს მთელი რიგი ზომებისა, „რომელიც უნდა უზრუნველ-ჰყოფდეს პროფესიონალურ კავშირების განვითარებას“. მარა ჩვენ უკვე ვიცით, თუ რა ზომები აქვს მთავრობას საამისოთ შენახული.

უკვე სამი წელიწადია, რაც რუსეთის იმპერიაში მუშათა ეს ორგანიზაციები აღარ ითვლება სახელმწიფო დანაშაულათ. „კავშირები“ დაკანონებულია იურიდიულათ, მარა ფაქტიურათ კი მათ დღესაც ისე, როგორც

გუშინ, მწვავე, სასტიკი ბრძოლა უხდებათ არსებობის უფლების მოსაპოვებლათ; „კავშირების“ ამ სამი წლის ისტორია განუწყვეტელი მოთხრობაა მათი ტანჯვა-ვაებისა. 1906 წ. 4 მარტის დროებითი წესებით მუშათა კავშირებს რამოდენათმე გზა გაეხსნა არსებობისათვის, იურიდიულ კალაპოტში ჩადგა, განსაზღვრულ ნორმებში ჩამოყალიბდა, რასაც ხელი უნდა შეეწყო მის განვითარებისათვის; მაგრამ რაკი მთავრობა ასე ადვილათ ვერ ენდობოდა მუშა ხალხის თვით-მოქმედებას, საჭიროთ დაინახეს იგი სავსებით დაექვემდებარებინათ ადმინისტრაციის ბეჯითი კონტროლისათვის. ადგილობრივი ადმინისტრატორები კი ისევ ალმაცერათ უყურებენ მუშების ყოველგვარ შეკავშირება-ორგანიზაციას; ისინი აქა ხედავენ „კრამოლის“ ბუდეს. რაღა საკვირველია თუ შეკავშირების მოწადინებულ მუშებს ნებართვის ასაღებათ წინ უდგებათ ათასგვარი დაბრკოლებანი და თუ მაინც საქმე მოაგვარეს როგორმე, საკმაო ხდება სულ უბრალო მიზეზი, რომ „კავშირი“ დაიხუროს და მისი წევრებიც დაიქსაქსენ. ასე „კავშირებს“ თავს ატყდებათ გაუთავებელი დევნა, შევიწროება და უანგარიშო რეპრესიები. ეს ნათლათ აღნიშნა სოც.-დემოკრატიულ ფრაქციისაგან მეორე სახ. დუმაში შეტანილმა შეკითხვამაც. ამავე აუტანელ მდგომარეობას ხატავდა იმავ ფრაქციისაგან მესამე სახ. დუმაში წარდგენილი შეკითხვა. ამ უკანასკნელის განხილვა, როგორც იცით, სახ დუმამ ვერ დაინახა შესაძლებლათ; თუმცა შეკითხვა, ფაქტიურათაც და იურიდიულათაც სწორეთ და სამართლიანათ იყო შედგენილი; ეს აგრე აღიარეს თვით კადეტების იურისტებმა; „კანონისა და უფლების“ „მოყვარულმა“ ბატონების დუმამ ზედ გადიარა იმ პაწია უფლებებზეც, რაიც პროლეტარიატმა შავი დღით მოიპოვა. ასეთ დუხჭირ პირობებში, რა თქმა უნდა, „კავშირები“ ველარ ავითარებენ იმ მოქმედებას, რისთვისაც იგინი მოწოდებულნი არიან; ისინი ველარ იქნებიან ბეჯითათ მცველი და მფარველი მუშათა ინტერესებისა; მუშა აქ ველარ ხედავს თავის საკუთარ, მშობლიურ დაწესებულებას; მუშა აქედან არამც თუ აღარ ელის თავის ყოველ დღიურ მდგომარეობის გაუმჯობესობას, პირიქით, მისი პირადი უშიშროებაც კი აქ განსაცდელშია ჩაყენებული. რამდენათაც იგი უფრო ერთგული და უკეთესი წევრია თავის პროფესიონალურ კავშირის, იმდენათ უფრო ფხიზლათ სდარაჯობს მას ყოველ ნაბიჯზე ადგილის დაკარგვა, უმუშევრობა და საპყრობილე. ასეთ პირობებში რაღა საკვირველია, თუ მასსიური მუშა გაურბის თავის „კავშირს“. აქ გაჩერების უნარი შესწევს მხოლოთ პარტიულ მუშებს, და კავშირების დანიშნულება კი სწორეთ მასსის მუშათა შემოკრებაა...

სადღა არის გამოსასელელი ასეთ სავალალო მდგომარეობიდან?—იქ, სადაც მუშა ხალხი მუდამ უნდა ეძებდეს თავისი საქმის ველა-ხსნას.

რაიმე პოზიციის ხელში ჩასაგდებათ და იქ გასამაგრებლათ დღეს უფრო მეტი, ვინემ როდისმე, საჭირო არის მეტი ცოდნა, მეტი შეგნება. თუ ჩვეულებრივ დროს პროფესიონალურ კავშირებს ეკონომიურ ბრძოლის საწარმოებლათ დიდი სიფრთხილე და წინასწარი გამოანგარიშება ჰმართებთ, ეს კიდევ უფრო მატათ საჭიროა საერთო დაცემულობის დროს. ასეთ პირობებში ისე არაფერია „კავშირებისათვის“ მავნებელი და დამღუპველი, როგორც წაგებული გაფიცვა. ჩვენში კი განვლილმა დრომ მუშები ერთობ შეაჩვია ადვილ გამარჯვებას... ჩვენში, შეიძლება ითქვას, წარმოდგენაც კი არა აქვთ ევროპიულათ მოწყობილ გაფიცვების შესახებ, როცა გულ-დასმით არის ხელმე შესწავლილი მრეწველობის მთელი მდგომარეობა და ბაზრის პირობები, როცა უმალ ხმაროობენ ყოველგვარ მომრიგებელ საშუალებებს და გაფიცვას მიმართავენ ხელმე, როგორც უაღრეს და უკიდურეს საშუალებას. ამიტომაც, ჩვენში, ეკონომიურ ბრძოლის შედეგათ არა იშვიათათ ისიც კი გვრჩება, რომ წარმოება ჩერდება დიდი ხნით და ან საბოლოოთაც იხურება; ამიტომ გაისმის ასე ხშირათ ჩივილი, რომ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებას ვერ იტანს წარმოების მდგომარეობა. მაგრამ, ისიც სათქმელია, რომ ბურჟუაზიისათვის წარმოების მდგომარეობა ვერასოდეს „ვერ იტანს“ მუშათა მოთხოვნების დაკმაყოფილებას. კაპიტალისტებს რომ ჰკითხოთ, მუშათ მოთხოვნები მუდამ შეუსაბამო და გადაჭარბებულია, და ასეა მაშინაც კი, როცა მათი მოგება ორკეცდება და ათკეცდება. აი სწორეთ ამიტომ საჭირო არის, რომ პროფესიონალური კავშირები თვითონვე სწავლობდენ მრეწველობის ვითარებას და ბაზრის მდგომარეობას. ეს პირდაპირი და ერთი მთავარი დანიშნულებაა „კავშირების“ ლიტერატურულ ორგანოებისა, რაიც ჩვენში დღემდის თითქმის მარტო სახელით არსებობდენ და ნამდვილათ კი წმინდა პროფესიონალურ ინტერესებს ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდენ. ან კი რაგორ იქნებოდა სხვანაირათ, როცა ჩვენი „კავშირების“ ორგანოს თანამშრომლებათ იწვევდენ ისეთ პირებს, რომელთაც მათი პროფესიის სპეციალობისა არაფერი ან თითქმის არაფერი არ გაეგებათ...

ეკონომიკის გარდა, „კავშირებისათვის“, რასაკვირველია, საჭიროა პოლიტიკაც. თუ დაწინაურებულ ქვეყნებშიაც შეუძლებელია წმინდა ეკონომიურ ბრძოლის წარმოება, ეს მითი უფრო შეუძლებელია ჩვენს სახელმწიფოში, სადაც მუშათა ეკონომიურ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ წინ უდევთ არსებობის უფლების მოპოვება. გარდა ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ პროფესიონალურ მოძრაობის კრიზისის ძირითადი მიზეზები დაფარულია სახელმწიფოს დღევანდელ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. პირველი სავსებით ვერ დააღწევს თავს დღევანდელ კრიზისს, თუ უკანასკნელი არ გამოვა სამშვიდობო გზაზე. ეს კი ითხოვს მთელი ხალხის ძალ-ღონის მოკრებას და გაცნობიერებულ ენერგიის ამუშავებას. მაშასადამე საჭიროა ფართე მოქალაქობრივ-პოლიტიკური შეგნების მოპოვება. „კავშირები“ უნდა იდგენ პარტიების გარეშე, აწარმოებდენ უპარტიო პოლიტიკას, მაგ-

რამ არის ერთი ბაირაღი, რომელსაც იგინი ვერასოდეს ვერ დასთმობენ ისე, რომ განსაცდელში არ ჩააგდონ თვით თავიანთი ყოველ-დღიური შრომის პირობები, და წმინდა პროფესიონალური ინტერესებიც,—ეს არის მუშათა კლასის ბაირაღი. „კავშირების“ მუშები ვალდებულნი არიან აწარმოვონ მუშური პოლიტიკა, რაიც მათ ადრე თუ გვიან, მარა აუცილებლათ, მიიყვანს საკუთარ კლასის პარტიაში, რომლის მიზანია შრომის საბოლოო განთავისუფლება.

მაშ ასე, მეტი სინათლე, მეტი შეგნება, მეტი კლასობრივი თვით-ცნობიერება,—აი რა გამოიყვანს პროფესიონალურ მოძრაობას დღევანდელ კრიზისიდან.

მკრთალი სურათნი.

ცხელა და ბნელა. ცა შავ ღრუბლებს შეუკრავს. ვარსკვლავთა შუქს ღრუბლის გუნდი ვეღარ გაურღვევია, ჩვენსკენ ვეღარ ჩამოუნათებია და ალბათ იქით, ზეციურ სფერაში მყოფს ჯერ ჩვენთვის უცნობ ქვეყნებს უნათებს.

ცხელა და ბნელა. მაგრამ ეს სიბნელე ბუნებრივია, ადვილათ ასატანია. ძნელი ის არის, რომ ბნელა თვით გულში! თვითეულის ადამიანის გულიც ხომ მთელი სამყაროა. ვით სამყაროსთვის, ისე გულისთვისაც მიჩნეულია ცხოველ-მყოფელი მნათობი. ეს მნათობი იმედია. ვით ვარსკლავთა შუქს ამკრთალებს შავ-ღრუბელთა გუნდი, ისე გულის მნათობს, ცხოველ-მყოფელ იმედს, სახეს უბნელებს გრძნობა, რომელსაც სასოწარკვეთილებას უძახიან. ამ გრძნობით მოშლილ გულში მუდამ ბნელა. ეს სიბნელე კი ბუნებაში მოვლინებულ სიბნელეზე მწვავია.

ცხელა და ბნელა. სიო თითქო შემფრთხალა, ცელქ ბავშვივით ნაპრალთა შორის მიმალულა და იქიდამ ქურდულათ იცქირება: დროა ჯერ თუ არა, რომ ბინიდამ გამოვფრთხე, სოფელ-ქვეყანას დავჭქროლო და ყვავილთა შორის გულ-წარმტაც ზღაპართა მბობა მღერით განვაგრძოო!

მაგრამ ყვავილნი თითქო მას აღარ ელიან, სცხელათ და ჭგონიათ დადგა ქვეყნის აღსასრულიო; მგლოვარეთ ჩარაზმულან შეწუხებულ ველებში, თავები ძირს ჩაუხრიათ, მწარეთ დასცქერიან მათს ამომცენებელ დედა-მიწის გამხმარ მკერდს. ხეებსაც ფოთლები შეჭყვიტლებიათ, მათი ტოტები დაავადმყოფებულს ფრთა ჩამოყრილ ფრინველს მოგაგონებენ.

გოლვაა. ქალაქს გარეთ სიცოცხლე თითქო შემწყდარა. ქალაქი კი ჩვეულებრივ ქოთავს; ორ ბანაკათ გაყოფილა და ერთმანეთ შორის ბრძოლა გაუმართავსთ: აქ ძლიერი მაზე სუსტს ჰყლაპავს, ძღება და დიდდება. ეს ყველგან ასეა, მაგრამ ქალაქათ უფრო თვალ-საჩინოა. ამბობენ ამ მყლაპავთა სიძლიერეს მხოლოთ მათივე გაუმაძღრობა დაამხობსო: მათგან შთანთქმულ ამდენ ცოცხალ არსებათა შხამ-გესლს ბოლოს ვეღარ მოითვისებენ, გასქდებიან და მით მოეღებათ ბოლოო. ისე, როგორც რომის სამეფოს დაემართა; მაგრამ ეს ხომ ბევრს ზღაპრათ მიაჩნია.

რაც უნდა იყოს, ქალაქში ყოფნა სჯობს ქალაქ გარეთ ყოფნა. აქ ბრძოლაა ორ ბანაკთა შორის. ერთსა და ერთს ბანაკს მიეთვისები, შენც ბრძოლის ფერხულში ჩაებმები. ბრძოლა კი ხომ თვით სიცოცხლეა. უბრძოველათ დაგდებული ადამიანი მიწაში ჩამარხულ ჟანგ-მოკიდებულ იარაღსა ჰგავს.

თუ ქალაქს გარეთ, მთა-გორათა შორის არსებობს დამტკბობი პოეზია, არც ქალაქია მოკლებული მას. თუ ბრძოლა სიცოცხლეა, მაშინ თვით მაღალი პოეზიაც ბრძოლაშია. ქალაქი კი, როგორც უდიდესი ბრძოლის ველი, პოეზიისათვის საუკეთესო ნიადაგია.

პოეზია სხვა და სხვა მხროვანია: პოეზია მშვიდი, წყნარი გულის დამათრობელი... თითქო ზეფირის ფრთებს დაჰყრდნობიხარ ტ მსუბუქი, ჰაეროვანი, ვით თვით ზეფირი, დაფრინავ მშვენიერ მდელოთა შორის; უკვირდები, როგორ ჩაჯგუფულან ყვავილნი მოკისკასე წყაროთა კიდეებზე, ჩასცინიან მათ და თავებსა ჰხრიან, რომ მჩქეფარ ცვარ-მარგალიტებში ახლათ გაფურჩქნილი გულ-მკერდი იბანონ. უცქერი, როცა ისინი სიოს ცელქათ მობერვაზე მორცხვათ იმალებიან ერთმანეთში, იცინიან და ვითამ ცდილობენ, რომ მოაშიყეს კოცნას მინაზებული ვარდის ფერი ლოყები მოარიდონ. გესმის მათი ჩურჩული, აშიყობისაგან მიქანცული ხმა და გრძნობ, რომ შენც ერთი მათგანი ყოფილხარ; ერევი მათ ჯგუფში და აძლევ სალამს, საუბრობ მათს ენაზე და ისინი შენ მოგითხრობენ გრძელსა და ათასგარ ზღაპრებს სამყაროს მშვენიერებასა და ცხოვრების სიტკბოებაზე. სიო დაჰქროლავს და შენ მის ფრთებზე დაყრდნობილი ადიხარ აღმა, აღმა, დიდებულ ცის ციაგში მოკაშკაშე ვარსკვლავებისაკენ და მოქათქათე ფირუზოვან სივრციდან დასცქერი მთვარის შუქით გაბრწყინვებულ თოვლით თეთრათ მოსილ მთათა მწვერვალებს, მათ კალთებზე მწვანე ხავერდით დაფენილ მინდვრებს და მინდორთა შორის ვერცხლის ზოლებათ დახვეულ მდინარეებს. ადიხარ აღმა-აღმა, რომ გაერიო მოკაშკაშე ვარსკვლავთა შორის, გამართო მათთან საუბარი, გადაფრინდე ერთიდამ მეორეზე და მათგან შეიტყო ყოველივე საიდუმლოება, რაც კაცის გონებისათვის ჯერ მიუწვდომელია. ცდილობ გადიქცე სულ ფიქრათ, აზრათ, რადგან გრძნობ, რომ უკვდავება მხოლოთ ფიქრსა და აზრში არსებობს და სხ. და სხ

მეორე გვარი პოეზიაა მკაცრი, მშფოთავი, ვნებათა ღელვისგან თავ-განწირულის ომისათვის ბრძოლის ველზე გამოწვეული. იგი გულ-მწყრალი და დიადი, ულმობი და მკაცრია, ვით აღელვებული ზღვა, როცა იგი ცდილობს მტვრათ აქციოს ყოველივე, რაც კი გზაზე გადაეღობება მსვლელობის დროს. ეს არის ამაყი, მებრძოლი პოეზია. იგი წარმოშობილია ტანჯვა-წამებისაგან, გულის

ჭრილობათა დაუცხრომელ ტკივილისაგან უკულმართათ დატრიალებულ კაცთა ცხოვრების სიყალბესთან საბრძოლველათ. იგი პირ-მქუში და მკაცრი, ნიადაგს ეძებს კაცთა შორის. მისი მზრდელი ძალა ცხოვრებაა და ამ ცხოვრების ამღვრეულ მორევში იგი გამოჰყოფს ხოლმე და გაინაპირებს კაცთათვის მავნე ცხოვრების მხარეებს, შეეხლება მათ თავის ძლევა-მოსილი იარაღით და ამ ბრძოლის დროს ჩვენ გვესმის ხან კვნესა დაკოდილ გულისა; ეს ის წამია, როცა ბრძოლა ძნელ-დასაძლეველი ხდება; ხან გესმის ხმა აღტაცებისა, ვაჟ-კაცური გრგვინვა, აღმაფრენის ყიჟინა. ეს ის წამია, როცა გამარჯვება უზრუნველ-ყოფილია.

დიახ, ქალაქი, ეს უდიდესი ბუდე შეჯგუფულ კაცთა კრებისა, როგორც უდიდესი ბრძოლის ველი, საუკეთესო ნიადაგია მებრძოლი პოეზიისათვის.

აი, თუნდა აიღეთ თვალში ეს უზარ-მაზარი ორსართულიანი შენობა, რომელიც წვა-დაგვით აღუმართავს ადამიანის ხელს! რამდენი კაცის სისხლი, კაცის ოფლი, კაცის სიცოცხლეა ამ შენობის კედლებში ჩაქსოვილი! იგი ორ ბანაკს უშენებია: ძლიერს უფიქრნია, სუსტს ძლიერის ფიქრი განუხორციელებია თავის შრომით, სისხლით, სიცოცხლის განწირვით. და ძლიერს ყველა ეს თავათ დაუსაკუთრებია. მას გაუმართავს ქვემო სართულში საფეიქრო, სუსტნი შრომის უღელში შეუბამს, თვითონ ზემო სართულში გამეფებულა, რომ ქვემოთ მყოფს წელში გამართვა დაუშალოს. დახე, რა გულმოდგინეთ შესდგომია საქმეს ჩაგრულთა რაზმი და ეწევა საუკუნოებით გაქედილს მონობის უღელს! საკვირველია: ეს ქვემო ბანაკი ზემო ბანაკს მუდამ თავ-განწირვით ებრძვის, მაგრამ უხსოვარ დროთა მიერ უსამართლოთ გაქედილ მიზეზთა გამო იგი მაინც მას ვერა შორდება. იმედი კი, ეს ცხოველ-მყოფელი მნათობი ტანჯულთა რაზმისა, მაინც არ სტოვებს მას, ბრწყინვალე მომავლისაკენ უთითებს, სწვრთნის გონებას და მონობის დამამყარებელ უკულმართ მიზეზთა კვანძებს ნელ ნელა ახსნევინებს.

იმედი ხელ-მარჯვე იარაღია ბრძოლაში. იგია ბერკეტი, ცხოვრების სიძძიმეთა ზედ ამწევი. იგი განთიადია, ტანჯვათაგან თავ-დახწევისათვის გზის მაჩვენებელი. იგია მალამო, ტვირთ-მძიმეთა ჭრილობის მალბუნებელი. იგი თანამგზავრია მებრძოლი პოეზიისა. იგინი განუყრელნი მეგობრები არიან.

ხედავ როგორ შეპარულან ეს ორი მეგობარი საფეიქროს ყრუ კედლებში, ჩასჯდომიან გრძნობა-გონებაში ლამპრის შუქზე მანქანებთან ჯგუფ-ჯგუფათ მომუშავე მშრომელთა რაზმებს და მათ მწარე ღიღინს იმედიან და მებრძოლ ცეცხლისებურ ჰანგებათ სცვლიან! დახე, ეს ხმა არ ეპაშნიკა ზემო სართულში გაბატონებულ შთანმთქმელთა რაზმს და იგიც პასუხს ჩამოსძახის ზემოდან:

ხმა ქვედა სართულში.

ძველი ჯვალო აღარ ვარგა,
მტერს უკერავს იგი ვერაგს,
მას გავხდით ხალხს და მოვუქსოვთ
დროს შესაფერს ახალ პერანგს!..
გაძვერ, მაქო, გამოძვერი,
გაამხნევე საფეიქრო,
განთიადი ახლოს არი,
გულს იმედი არ გეიქრო!

ხმა ზედა სართულში.

რასაც მოქსოვთ, ჩვენ დავარღვევთ,
არ გაღირსებთ ნეტარ ალოს,
საფეიქროს ნაცრათ ვაქცევთ
და ჩავაცმევთ ხალხს კვლავ ჯვალოს!
დაჭკათ საყვირს სამგლოვაროთ,
აამყეფრეთ ზარბაზნები,
რომ ფეიქართ გლოვა კვნესას
ჯოჯოხეთმაც მოსცეს ხმები.

ხმა ქვედა სართულში.

ზარბაზნები ჩვენ რას გვიზამს,
გადვიქცევით ნამდვილ აზრათ,
ბედ-კრულ ხალხის საწინამძღვროთ
დავიბნევით სოფელ-მაზრათ;
წმინდა თესლით გადაეჩრდილავთ
თქვენგან ნაზარდ ბოროტ ღვალოს,
ხალხს ჩავაცმევთ ახალ პერანგს
და გავაძრობთ დამცვდარ ჯვალოს!

ხმა ზედა სართულში.

ჩვენ ძლიერნი თქვენ უძლურებს
გაგიქედავთ ბორკილ-ჯაჭვებს,
თქვენის ხორცით ჩვენს ზარბაზნებს
გავუმზადებთ ძვირფას საკვებს;
მიტყუებით ავუჯანყებთ
ყრუ ხალხს მაგ თქვენს სამკერვალოს,
თქვენგან ნაქსოვ პერანგს გავხდით
და ჩავაცმევთ ხალხს ძველ ჯვალოს!

ხმა ქვედა სართულში.

ჯაჭვ-ბორკილი არ გვაშინებს,
არც საკნების კარი შავი,
ბრძოლის ცეცხლში გაწვრთნილია
ჭირ-ნანახი მუშის მკლავი.
ყველა ჩვენგანს მიზნად უდევს,
რომ ხალხს თავი ანაცვალოს...
ხალხს ჩავაცმევთ ახალ პერანგს
და გავაძრობთ თქვენს ძველ ჯვალოს.

ხმა ზედა სართულში.

საუკუნეთ გამოსწვართნეს
მწყობრ-ნაქედი ჩვენი კრება
და არეულ ბრბოს წინაშე
ის არრას დროს არ შედრკება.
ტყვილად ფიქრობთ, მწყობრი რაზმი
მაგ თქვენმა ბრბომ რომ დაშალოს,
თქვენგან ნაქსოვ პერანგს გავხდით
და ჩავაცმევთ ხალხს კვლავ ჯვალოს!

ხმა ქვედა სართულში.

ჩვენი კრება ბრბოს აღარ გვანს,
მწყობრათა ვართ ჩარაზმული,
ვაჟკაცურის აღტაცებით
რწმენით სავსე გვიცემს გული;
ჩქარა ნახავთ, ბრძოლის ცეცხლში
თქვენ და ჩვენში ვინ იმხდალოს...
ხალხს მოვუქსოვთ ახალ პერანგს
და გავაძრობთ მაგ ძველ ჯვალოს.

ხმა ზედა სართულში.

ამ ჯაშუშებს ხომა ხედავთ,
თქვენს ძმებს, ჩვენგან მოყიდულებს,—
სასწაულის ქმნა უძლია
თქვენის კისრით ნაბოჭ ფულებს.
უეცრად თავს დაგეცემით,
ისე გაგლეწთ, როგორც ჯალოს;
ხალხს თქვენს ნაქსოვ პერანგს გავხდით
და ჩავაცმევთ კვლავ ძველ ჯვალოს!

ხმა ქვედა სართულში.

ჩვენს დალეწვას ვეღარ შესძლებთ
თქვენ და თქვენი ზარბაზნები,
დღეს ჩვენს წმინდა მისწრაფებას
გახსნილი აქვს ყველგან გზები.
ოსმალეთიც კი შეცდილა,
სიმართლის გზა რომ გაჰკვალოს;
ჩვენც ვქსოვთ და ვქსოვთ ახალ პერანგს
და გავაძრობთ ხალხს ძველ ჯვალოს.

ხმა ზედა სართულში.

ოსმალთ მძლავრნი უძლურია,
ჩვენ კი შეგვწევს დიდი ძალი;
მოიგონეთ თქვენს სახლს და კარს,
ვით შევუნთეთ ცეცხლის ალი!
ისევ იმ დღეს დაგაყენებთ,
ცოცხლად შევწვავთ ქვრივ-საბრალოს,
ობლის ხორცით ყვავთ დავაძღებთ,—
და ჩავაცმევთ ხალხს ძველ ჯვალოს.

ხმა ქვედა სართულში.

ის დღე აღარ მოგესწრებათ:
იდუმალი გვაქვს მზადება,
ხალხის მწვავი გულის წყრომა
მედგრათ ყალყზე წამოდგება,
იფეთქებს და მტვერათ გაქცევსთ,
ძალს ხელთ იგდებს სანეტაროს,
პერანგს მოგვთხოვს ჩვენგან ნაქსოვს
და გაიძრობს თქვენს ძველ ჯვალოს.
გაჰკა, მაქო, გამოჰკარი,
გაამხნევე საფეიქრო,
განთიადი ახლოს არი,
გულს იმედი არ გეიქრო!

ცახელი.

სხვა-და-სხვა ამბები
ჩვენში.

— სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თაოსნობით ახლო მომავალში უნდა შესდგეს თფილისში სხვა და სხვა საზოგადო დაწესებულებათა და სასწავლებელთა წარმომადგენლების თათბირი თფილისში საყოველთაო სწავლების შემოღების შესახებ. ქალაქის სამოსწავლო კომისიამ თავის წარმომადგენლათ დანიშნა წევრი კომისიისა ე. ფ. თოფჩიანი.

— თბილისის სათავად-აზნაურო ბანკის გამგეობამ და ზედამხედველმა კომიტეტმა შეატყობინა წ. კ. საზ. გამგეობას, რომ ილია ჭავჭავაძის ძეგლის ასაგებათ გადაიდო ბანკის საშუალებიდან 2500 მან.

— თბილისის ტრამვაიზე მომუშავეთა და ტრამვაის დირექციის შორის მწვავდება დამოკიდებულება. როგორც ვიცით, ბ-ნი ალიბეგოვი ტრამვაიზე მოსამსახურეთ ათმევს დიდი ხნის მოპოვებულ უფლებებს. მუშებმა თხოვნით მიმართეს თბილისის გუბერნატორს ჩაერიოს ამ საქმეში და გამოარკვიოს დამოკიდებულება დირექციასა და ტრამვაიზე მოსამსახურეთა შორის. თხოვნაში აღნიშნულია აგრეთვე ყველა ის უწესოებანი, რომელიც ჩაიდინა ბ-მა ალიბეგოვმა მუშების მიმართ.

— ქალაქის სასკოლო კომისიას სახალხო სკოლების დირექტორმა გაუგზავნა მიწერილობა გაიხსნას შერეული პირველ-დაწყებითი სკოლები, სადაც სწავლა უნდა სწარმოებდეს რუსულ ენაზე, რადგან ამას ბევრი ადგილობრივი მცხოვრები თხოულობსო. კომისიამ განიხილა ეს საკითხი და დაადგინა ხელუხლებლათ დასტოვოს არსებული ეროვნული ხასიათის სკოლები და ეცნობოს დირექციას, რომ არც ქალაქის გამგეობას, არც სასკოლო კომისიას შერეული სკოლების საწინააღმდეგო არაფერი აქვს, თუ კი მათში სწავლის მსურველი აღმოჩნდება ვინმეო.

— ოსმალეთის კონსტიტუციის აღდგენის შემდეგ მრავალი სომეხი, ბერძენი, ოსმალი და ებრაელი აწყდება თბილისის ოსმალოელ საელჩოს, რომ აიღონ პასპორტები და სამშობლოში დაბრუნდენ. საელჩოში გაცხარებული მუშაობაა, მაგრამ მთხოვნელთ ვერ აუდიან. რადგან ბევრს იმათგანს შეძლება არა აქვთ, მათმა წარმომადგენლებმა გადასწყვიტეს გამონახონ სახსარი, საშუალება, თუ როგორ დააბრუნონ ოსმალოს ლარიბი ქვეშევრდომნი სამშობლოში.

— ოფხშაბათს მეტეხის ციხეში გაგზავნეს მოხელე ალექსანდრე სვეჩინი, რომელსაც სად. ევლახში გაჩხრეკის დროს უპოვეს 15 დაშლილი ვინტოვკა.

— 24 ივლისს ახალ-სენაკის ციხეში ჭკუიდან შეიშალა მალაქია ჯანჯღავა. მას ბრალათ ედება სოჩის საერთო აჯაყებაში მონაწილეობის მიღება. ციხეში დიდი სივიწროვეა. 40 მაგიერათ 85 კაცი ზის („ხომლი").

— თბილისის გენ.-გუბერნატორის განკარგულებით გაზ. „გოლოს კავკაზა" დაჯარიმებულ იქმნა 500 მან.

— თბ. ტრამვაიზე მოსამსახურეთაგან 62 კაცამდეა დაპატიმრებული.

— კავკასიის სამხედრო სასამართლომ განიხილა საქმე სერგეი, არუთინ და გრიგოლ შავარდოებისა. ამათ ბრალდებოდათ მისწავლებელ ს. ანანოვის და გრ. შავერდოვის მოკვლა. სასამართლომ დამნაშავეთ მარტო ბაგრატ შავერდოვი იცნო და ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

— ქართულ თეატრის შენობის დათავების საქმე მიენდო დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარეს ალ. გ. ჯაბადარს.

რუსეთში.

— სიკვდილით დასაჯეს: სარატოვში—ერთი, ოდესაში—ხუთი, სევასტოპოლში—სამი, ტამბოვში—ერთი, კაზანში —ოთხი, სარატოვში—ერთი.

— სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს: სიმფიროპოლში—თექვსმეტს (საგუბრნიო ციხეში არეულობის გამო), კიევში—სამას, სარატოვში—სამს, ვარშავაში —ერთს, ხარკოვში—სამს, ოდესაში—სამს. („რ“. №№181-176).

— გაზ. „რიჟსკია ნოვოსტი“. დააჯარიმეს 1000 მ. ტოლსტოის წერილის მოთავსების გამო „არ შემიძლიან გავჩუმდე“ დააჯარიმეს შემდეგი გაზეთები: „სევერი“—500 მან., „ოდესკია ნოვოსტი“—1500 მან., „ლატვია“—500 მან.

— სოფ. ნავოლოკაში (კინეშემის მაზრა) დააპატიმრეს 12 წევრი ს.-დ. ორგანიზაციისა; წაიღეს სხვა-და-სხვა საბუთის ქაღალდები, იარაღი და გეკტოგრაფი.

— სახალხო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ წელს არც ერთი თავისუფალი მსმენელი ქალი არ მიიღება უნივერსიტეტში.

— იაროსლავში გაზ. „სევერნია ვესტი“ დააჯარიმეს 250 მან. იმის გამო, რომ გადაბეჭდა „ნოვ. ვრ.“ და „ს. პეტ. ვედ.“ წერილები მისიონერთა სიეზდის შესახებ.

— მენზელინის ციხიდან გაქცეულ ორ პოლიტიკურ ტუსაღს მიაგნეს. ერთი მათგანი დაჭერის დროს მოკლეს; მდევართაგან მოკლულია სტრაჟნიკი და დაჭრილია ბაშკირი.

— ცნობილმა კრუშევანმა მიიღო პეტერბურგიდან ახალი სუბსიდია 10,000 მ. გაზ. „დრუგის“ გამოსაცემათ.

— კიევის მისიონერთა სიეზდმა, სხვათა შორის, დაადგინა ს.-დ. საბრძოლველათ შეიტანოს სემინარიის კურსში სოც.-დემოკრატიული მოძღვრების დამარღვეველი კრიტიკა და მიექცეს სასტიკი ყურადღება მასწავლებლებს, რომელნიც, მათის აზრით, სთესავენ რევოლიუციას.

— ნიჟნე-ტაგილსკში ლეზოვის ბინაზე იპოვეს ასაფეთქებელი ნივთიერებანი, პატრონები, შრიფტი და პროკლამაციები. ლეზოვი გაიქცა.

— ნოვოჩერკასკში, 26 ივლისს, საღამოთი საყდრიდან გამოსვლის დროს, ვიღაც უცნობმა რევოლვერით დასჭრა პოლიცმეისტერი კოლპინი. ბოროტ-განმზრახველი დაიჭირეს.

— კალუგაში იპოვეს საიდუმლო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა კალუგის ს.-დ. პარტიის კომიტეტის გაზეთი. მუშაობის დროს დაიჭირეს სამი კაცი.

— ოდესელ „მოკავშირეთა“ კრებაზე დუბროვინმა წარმოსთქვა სიტყვა რომელშიაც გაატარა ის აზრი, რომ რუსის ხალხის კავშირს დასაძლევი ჰყავს საშიში მტერი თვითმაყრობელობისა—სახელმწიფო დუმის ცენტრი. კავშირი მხოლოთ მაშინ მოსპობს თავის მოქმედებას, როდესაც სამუდამოთ მოსპობილ იქნება სახელმწიფო დუმა. კრებამ დაავალა დუბროვინს აღძრას შუამდგომლობა სახ. დუმის მოსასპობათ და უძველეს დროის საერობო კრების დასაარსებლათ.

— როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ლ. ნ. ტოლსტოი თავის იუბილეის წინა დღეებში, საზღვარ-გარეთ აპირებს წასვლას.

— ფინლიანდიის სეიმის თავჯდომარეთ არჩეულ იქმნა მლადოფინომანი სვინხუვუდი, მის თანაშემწეებათ ს.-დ. რიროლი და სტაროფინომანი ლისტო.

— როგორც ზოგიერთი საზღვარ-გარეთელი გაზ. გადმოგვცემენ. რუსეთის მთავრობა აპირებს საფრანგეთისაგან 800 მილ. მან. სესხის აღებას.

— რუსის ხალხის კავშირის ბუტირის განყოფილება მოსკოვში შუამდგომლობს გენ.-გუბერნატორთან, რომ მან ნება არ დართოს ქალაქის დუმას გამართოს რაიმე დღესასწაული ტოლსტოის პატივსაცემათ.

— ვოლინსა და ხოლმშჩინაში რუსის ხალხის კავშირის განყოფილებები თხოულობენ ჩამოერთოს ადგილმამული პოლიაკ მემამულეებს და გადმოასახლონ მასზე რუსი გლეხები ცენტრალურ გუბერნიებიდან.

— ლოცვა მ. იოანე კრონშტადელისა, სადაც ის შესთხოვს ლ. ნ. ტოლსტოის და გრაფ ს. ი. ვიტტეს სიკვდილს: „უფალო, დაამშვიდე რუსეთი ეკლესიისა და უპოვარ ადამიანთა შენისათვის, მოსპე ამბოხება და რევოლიუცია, აღგავენ პირისაგან ქვეყნისა მაგინებელი შენი, უუბოროტესი და თვის ცოდვათა შეუნანებელი ლევ ტოლსტოი და ყველა მისი მხურვალე და კერპი მიმდევარი, ებრაელების მეგობარი ვიტტე, რუსეთის დამღუპავი, მიეცი მეფეს სიბრძნე და მხნეობა, წარუვლინე მას კეთილ-მსახურნი, ბრძენნი და მამაცნი მრჩეველნი, ჰაბუკნი დააყენე ჭეშმარიტ გზაზე, მხედრობა შეჰქმენ საიმედო და მხნე, მიწად-მოქმედნი და ხელოსანნი გახადე კმაყოფილ, სამღვდელოება შეჰქმენ თავის თანამდებობის გულმოდგინე, აღმოფხვერ ლოთობა, მრუშობა, ქურდობა, ყაჩაღობა, მკვლელობა, ბიწიერობა, ახალგაზდანი და ხელქვეითნი დაუმორჩილე უფროსთ, ქვეშევრდომნი—მეფეს, ყველანი ყოველგან მსახურნი ჰქმენ უფროსების მორჩილ, და კმაყოფილ თავისი ხარკით. იყავნ. („Р. Знамя“).

ოსმალეთი.

ახალგაზდა ოსმალთა მოწოდება. კონსტიტუციის აღდგენის წინა დღეებში ახალგაზდა ოსმალთ სალონიკში გამოსცეს შემდეგი მოწოდება.

„მთავრობა, რომელიც უნდა დარაჯათ ედგეს ქვეყნის მშვიდობიანობასა და პროგრესს, რომელიც უნდა იცავდეს იმპერიის წმინდა უფლებებს და მის მცხოვრებთა უშიშროებას, რომელსაც უნდა მიჰყავდეს ქვეყანა პროგრესისა და ცივილიზაციის გზაზე, ეს მთავრობა არამც თუ არ ასრულებდა თავის მოვალეობას, პირიქით, მუშაობდა ქვეყნის დარღვევასა და ხალხის გასანადგურებლათ.

მთავრობა ბოროტმოქმედობს იმ ხალხის ნდობით, რომელიც ცნობილია მთელს ქვეყანაზე თავისი მამაცობით და დიდ-სულოვნობით. მთავრობა, სხვა და სხვა თავხედ წარჩინებულ პირთა მილიონების გასამრავლებლათ, მათი ცხოველური სურვილების უზრუნველ-საყოფათ, არ ერიდებოდა არავითარ სასტიკ და ულმობელ ზომებს; ის სვამდა ხალხის სისხლს, რითაც მთელს ქვეყანას დაუმტკიცა თავისი უვარგისობა.

მთავრობა სტაცებს ღარიბ ხალხს სახლის ავეჯეულობას, ანთხევს მის სისხლს და აღატაკებს მრავალ ოჯახობას; თუ ის ასე გაგრძელებს თავის მოქმედებას, ერთი მეორეზე დაჰკარგავს იმპერიის საუკეთესო ნაწილებს. ხალხს ართმევენ უფლებებს; ის ყოველ დღე უფრო ღრმათ ეფლობა მონობისა და უვიცობის მორევში. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია, ის განადგურების გზაზეა დამდგარი. მთავრობამ ჩამოაგდო სიმძულვარე და უნდობლობა სულთანის იმ ქვეშევრდომთა შორის, რომელნიც საუკუნოებით ძმურათ ცხოვრობდენ.

მთავრობამ გადასწყვიტა მოსპოს ოსმალეთის ფლოტი; მიიყვანა რა უკანასკნელი დღევანდელ მდგომარეობამდე, მან ამით შეურაცხჰყო ქვეყანა.

განა შეიძლება იმის უარისყოფა, რომ თვით მთავრობამ მიიყვანა თავისი თავი დღევანდელ მდგომარეობამდე, როდესაც მან ჩაბარა ჯარის გამგებლობა ყაჩაღებს, მშიშრებს და გამყიდველებს იმ ჯარის, რომელიც განთქმულია თავისი სიმამაცით.

მამულ ისშვილნო! ნუ თუ ამ ჭეშმარიტებების შეგნებით არა სწუხს თქვენი გული!

უპასუხისმგებლო მთავრობა, რომელმაც წაგართვათ თქვენ თავისუფლება და განათლება, ემუქრება თქვენი სამშობლოს ბედ-იღბალს; ნუ თუ თქვენ არა ფიქრობთ საკუთარ ბედ-იღბალზეც?

ნუ თუ თქვენ არ გაწუხებთ განსაცდელში ჩავარდნილ და უკიდურესობამდის მისული სამშობლოს მდგომარეობა, იმ სამშობლოსი, რომლის ჯარშიაც თქვენ მსახურებდით, ნუ თუ არა გძაგთ თქვენგ განაგრძოთ ცხოვრება იმ პირობებში, სადაც მარტო მონობა, სისასტიკეა; სადაც ნებას არ გაძლევენ წარმოსთქვათ სიტყვა „სამშობლო“, რომლის შვილებათ თქვენ ითვლებით?..

ნუ თუ თქვენ არ იცით, რომ ვინც ამ ქვეყანაში არ ეწინააღმდეგება შეურაცხყოფას, და ნებას აძლევს სხვას გასთელონ მისი უფლებები, ვინც არ ფიქრობს თავის თანამემამულეებზე, რომ ამისთანა ადამიანს არა აქვს არც პატიოსნება, არც სვინდისი, რომ მისა და ცხოველ შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს.

ხალხო! გლეხებო! როდის მოსპობთ თქვენ კონსტანტინოპოლის მშიშრების დაწყევლილ ქისების გავსებას? როდის მოუსპობთ მათ შეძლებას განაგრძონ თავისი გახრწნილი ცხოვრება, სასახლეების და კოშკების აგება და მილიონების ფლანგვა, იმ მილიონების, რომელიც წაღებულია თქვენგან, პატიოსან ხალხისაგან? კმარა, ეხლა კი!“

შემდეგ მოწოდება ურჩევს ხალხს შეუერთდეს ახალგაზდა-ოსმალთა მოძრაობას სასახლის პაარტიის დასაძლევათ.

მოწოდება თავდება სიტყვებით: „გაუმარჯოს სამშობლოს! გაუმარჯოს თავისუფლებას!“

სტამბოლი. ახალი სამინისტროს მიერ ფიცის მიღების დროს სულთანმა ხელ-ახლა შეფიცა კონსტიტუციას.

გაუქმდა პასპორტები და ცენზურა უცხოეთიდან შემოტანილ წიგნებზე. გამოცხადდა თავისუფალი მიმოსვლა სახელმწიფოს საზღვრებში.

სტამბოლში შემოღებულ უნდა იქმნეს ქალაქის თვითმართველობა.

პროვინციაში დაიწყო ამრჩეველთა არჩევნები.

სულთანი დასთანხმდა ახალგაზდა-ოსმალთა მოთხოვნებს, რომ ერთი მეხუთედი ნაწილი თავის სიმდიდრისა, რომელიც ღირს ასი-ათასი გირვანქა სტერლინგი, შესწიროს სახელმწიფოს და დაუბრუნოს უკანონოთ მითვისებული მიწები.

სულთანმა შესწირა ასი-ათასი გირვანქა ორი ჯავშნიანი გემის ასაგებათ და ფიქრობს, რომ თავის საკუთარი თანხით აგოს პარლამენტის შენობა.

— სპარსეთის შაჰის ბიძა ზილ სულტანემ მიიღო ოსმალეთის ქვეშევრდომობა. („Баку“)

— ევროპის უმთავრეს კონსულთა მოხსენებები ამტკიცებენ, რომ მცირე აზიის მცხოვრებლები აღტაცებით მიეგებენ კონსტიტუციის გამოცხადებას. ბეირუტსა, დამოსკსა და იერუსალიმში იმართება მრავალრიცხოვანი სახალხო მიტინგები. ყოველგან ეძჩნევა აღფრთოვანება და განთავისუფლება აბსოლიტიურ შეეწროებისაგან.

— როგორც ზოგიერთი გაზეთები, გადმოგვცემს სომეხთა ორგანიზაციის „დაშნაკცუტიუნ-“ის აღმასრულებელმა ორგანომ მიართო სულთანს მემორანდუმი სომეხთა მდგომარეობის შესახებ ოსმალეთში. მემორანდუმში ნაჩვენებია შემდეგი ზომების განხორციელების საჭიროება: 1) თავისუფალი მიმოსვლა იმ პროვინციებში სადაც ცხოვრობს სომხობა, 2) დაუბრუნდეს სომეხთა თემებს წართმეულ მიწები, 3) გაუქმება ყველა იმ შემავიწროებელ ზომების, რომელიც შემოღებულ იქმნა

1895 წ. შემდეგ, 4) ამნისტია, 5) ემიგრანტთა დაბრუნება. კომიტეტმა გადასწყვიტა მიიღოს ენერგიული მონაწილეობა არჩევნებში და ეცადოს სხვა ერებთან ერთათ მოახდინოს კონსტიტუციის გადასინჯვა იმ აზრით, რომ შემოღებულ იქმნეს ავტონომიის პრინციპი.

— სტამბოლიდან „ვეჩერს“ ატყობინებენ, რომ აბდულ ჰამიდის ჯანმრთელობა საფიქრებელია. მისი უმთავრესი ექიმები ფიქრობენ, რომ შესაძლებელია ტვინის აპოპლექსია მოუვიდესო.

— კომიტეტი მოქმედებს ძლიერ ენერგიულათ. მან კოფისკაცია უყო საზღვაო მინისტრ რახიმ-პაშის სახლს და გაჩხრეკის დროს დაიჭირა ფასიანი ქაღალდები 4 მილიონი ფრანკიო. ძველ ოსმალეთის რეჟიმის მესვეურთა დაპატიმრება გაგძელდება პარლამენტის გახსნამდე. ამას მოითხოვენ ახალგაზდა-ოსმალნი, რომელთაც უკვე მოახდინეს განკარგულება დაპატიმრებულ მოხელეთა სამხედრო საპურობილეში გადასაყვანათ. ძველი ოსმალეთის რეჟიმის მოხელეთა დაპატიმრებას ჰყვება ხოლმე კატასტროფა. ტასინ-პაშამ, სულთანის ყოფილმა მდივანმა, თავი მოიკლა, როდესაც მასთან მივიდენ დასაპატიმრებლათ. ერთობ ბევრი ჯარია ადრიანე-პოლში, სადაც ახალ-ახალი რაზმები მოდიან ყოველდღე, ყველა ამ ჯარს ახალგაზდა-ოსმალთა ოფიცრები ხელმძღვანელობენ.

სპარსეთი.

კაზბინი. რამდენიმე დღის წინათ ამირ სუფოლორი წავიდა თავრიზში, სადაც ყოველი მხრიდან იგზავნება ჯარი.

უმთავრესი ბანაკი იქმნება ამირ ბუფოლორის ხელში. ის იქმნება უმთავრესი მართველი. ჯარის რიცხვი უწევს 12,000—18,000-დე.

კაზბინს ახლო-მახლო დაბანაკებულია ჯარი, სადაც ის ყოველ დღე ვარჯიშობს სროლაში. ის ღებულობს ტანისამოსს, ფულსა და ახალ სისტემის თოფებს.

— **მუშტეიდთა მოწოდება.** ნაჯაფის მუშტეიდებმა გაუგზავნეს თეირანს, თავრიზს, ისფაჰანსა და სპარსეთის სხვა უმთავრეს ქალაქებს დეპეშა, რომელშიაც მოთავსებულია მოწოდება სპარსეთის ხალხისა და ჯარისადმი. მოწოდებაში მუშტეიდები მიმართავენ ხალხს კატეგორიული მოთხოვნით, რომ იბრძოლონ კონსტიტუციის აღსადგენათ, შოსპობა ეთანასწორება ისლამის გაქარ-წყლებას. რეაქციონერთა ბელადებს უწოდებენ მუსულმანების მტრებს.

ხალხსა და ჯარს უბრძანებენ, არ დაემორჩილონ მართველებსა და რეაქციონერებს, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში იმათ აღარ ჩასთვლიან მუსულმანებათ. დეპეშას ხელს აწერენ მუშტეიდები: ბინ მახილ მირზა სალილი, მაჰამედ კიაზიმ სოროსანი და აბდულა საზანდარანი. („ტარაკი“)

თავრიზი. ორი დღეა რაც თოფისა და ზარბაზნების სროლა გძელდება. არის მსხვეპლიც. მოვიდა და დაბანაკდა ქალაქ გარეთ შაჰის ბაღში შაჰის 300 მხედარი. ამ დღეებში მოვა თეირანიდან რაზმი, რომელსაც ხელმძღვანელობს ნასრუს-სალტანე; სათარ-ხანსაც მოუვიდა კავკასიიდან რამდენიმე ათეული კაცი მისაშველებლათ. ხმები თავრიზზე ოსმალთა მოახლოვების შესახებ არ გამართლდა.

თეირანსა და თავრიზს შუა დეპეშებით ცნობების მიწვდენა ორი დღეა შეწყვეტილია. ცნობის უქონლობა იწვევს შფოთსა და შიშს, რომლის გავლენის ქვეშ შაჰი ფიქრობს დაუთმოს ოპოზიციას. საზოგადოთ აზრი ასეთია, რომ თავრიზში რევოლიუციის დამარცხება გამოიწვევს რეაქციის გაძლიერებას. არ იციან რა ბედი ეწვია ახალ სარდალს, რომელიც გაგზავნეს თავრიზს უწესოების მოსასპობლათ. სწრაფათ გაგზავნეს პირველი და მეორე რაზმი და არტილერია. თეირანის გზაზე დაიწყეს ძარცვა. გაგზავნილ ჯარის წინააღმდეგ რევოლიუციონერებმა გზაში მომართეს ზარბაზნები და დაუყენეს მილიციონერები. თავრიზის მიხედულებით ბევრი პროვინცია აპირობს აჯანყებას. შაჰის წრეებში შეწუხებული სულიერი მდგომარეობაა, ფიქრობენ კაზაკთა რაზმის გაგზავნის შესახებ. („ბირ. ვედ.“)

დედაგი.

(მოთხრობა.*)

IV

ტანჯვა-წვალებას გამოვლილი დესიკო ლოგინში იწვა. ერთი კვირა იყო, რაც მას ვაჟი შეძენოდა, ქმარ-

*) იხ. „ჩვენი კვალი“ № 10

შვილი გარს ეხვია, ხელს უწყობდნენ, რომ ავადმყოფისთვის მოვლა არ დაეკლოთ. ნატო იქ აღარა სჩანდა, დათიკომ ბევრი ცდის შემდეგ მოუხერხა ნატოს თავშესაფარში შესვლა და ფულიც აჩუქა. დესიკომ ძლივს შვებით ამოისუნთქა, როცა ნატო წავიდა.

აგერა დესიკოს წინა დგას ჭრელ შალში შეხვეული ლამაზი, თვალ-ეუეუნა ქალი, მას გვერდით მოსდგომია მაღალი, უშნო, უხეში, შავგვრემანი კაცი, რომლის შავი თვალები მოუსვენრათ იყურებოდენ შუბლ ქვეშ

— მაშ ეგრე? უსათუოდ თორმეტ მანეთს თხოულობთ? წარმოსთქვა სუსტის ხმით დესიკომ.

— რა ვქნათ, ქალბატონო, ამასაც იმიტომ ვაშორებ ოჯახს, შვილს, რომ სახლში ორიოდ გროში შევიტანო და ხელი მოვინაცვლო, ბავშვის ამყვანსაც საძიძური უნდა, მანდედგან აბა რა დაგვრჩება? ამბობდა კაცი და ხელებ დაქდობილი უყურებდა დესიკოს. ქალი გაჩერებული იდგა და მალმალ წითლდებოდა, თვალებს ძირს ხრიდა.

— ახალი ძუძუს პატრონია, თორმეტ მანეთშიაც თქვენი ხათრით ვაყენებ, მეზარება უკან წაყვანა, თორემ, რომ გავიყვანო კიდევ, იმედი მაქვს კაი თხუთმეტს მომცემენ, განაგრძობდა ის.

დესიკო და დათიკო გაჩუმებულები უსმენდენ; გრძნობდენ, რომ მართალს ამბობდა, რადგან ძიძას ყოველთვის კაი ფასი ჰქონდა, მაგრამ სამი ხელი ტანისამოსი და თვეში თორმეტი მანეთი ძალიან ებევრებოდათ. კარგა ვაჭრობის შემდეგ ნონემ, ასე ერქვა ძიძის ქმარს, მაინც არ დაუკლო და მეტი ღონე არ იყო სხვაფრივ უნდა შევიწროებულიყვნენ და მართა აეყვანათ.

— რა გაეწყობა, დარჩეს!.. უთხრა დათიკომ.

— ძალიან კარგი, შენიჭირიმე, მაგრამ ორი თვისა წინდაწინ უნდა მიბოძოთ, შეეხვეწა ნონე.

— კარგი, მოგცემ! ეხლა წადი სამზარეულოში, ცოტა დაისვენე და პურიცა ჭამე, უპასუხა დათიკომ. ნონემ თავი დაუკრა და გავიდა ოთახიდან.

ძიძამ მოიხსნა შალი და ღიმილით წავიდა პაწაწა ბავშვის სანახავად.

— კეთილი იყვეს ჩემი ხელის მოკიდება, წარმოსთქვა მართამ და აიყვანა ხელში მძინარე ბავშვი, თან თვალები აემღვრა, ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და კვალად გაიღიმა.

— პირველი გამოსვლაა შენი კარზე, მართა? ჰკითხა ღიმილით დესიკომ.

— დიახ, გენაცვალე, უპასუხა ქალმა და ამოიოხრა.

— ბავშვი პატარა გყავს?

— სამი თვისაა, წარმოსთქვა მართამ, მთლად გაწითლდა და თავი ჩაღუნა. ეხლა კი თვალებში ცრემლები წამოადგნენ.

დესიკომ შენიშნა, რომ სამძიმო იყო მისთვის ოჯახის მოგონება და არჩია გაჩერებულიყო. ნონეს გულუხვათ გაუმასპინძლდენ და დიდი კმაყოფილი იყო, რომ ამისთანა კარგი ადგილი უშოვა ცოლს.

— აბა თქვენ იცით, ქალბატონო, თუ მართას კარგად შეინახავთ. ეგეც ცუდი ხასიათისა არ არის და იმედი მაქვს გასიამოვნებთ. წარმოსთქვა ნონემ, როდესაც გამოსათხოვრათ ოთახში შემოვიდა.

— მაგაზე ნუ სწუხარ, ჩემო ნონე, მართა ჩვენთან ისე იქნება, როგორც თავის ოჯახში, არა გაუჭირდება რა, უთხრა დესიკომ და ნონეც გავიდა ოთახიდგან. მართა ქმარს გაჰყვა სამზარეულოში.

— ნონე, მაშ შენ ორი თვის ჯამაგირს თხოულობ? ჰკითხა დათიკომ, რომელიც აგრეთვე შემოვიდა სამზარეულოში.

— დიახ, ბატონო, ამ ორ თვეში ველარ ჩამოვალ და ამ თავშივე ოჯახს რამეს შევმატებ, უპასუხა ნონემ, რომელსაც სიხარბისგან თვალები გაუბრწყინდენ. გულ-ხელ-დაკრეფილი მართა ნაღვლიანათ შესჩერებოდა დათიკოს, როცა ეს ხელში უთვლიდა ნონეს ოცდა ხუთ მანეთს. ნონეს კი სიამოვნების ღიმილი მოსდიოდა ტუჩებზე, ცოლს არც კი უყურებდა.

— აბა, მართა, ჭკვიანათ იყავ, არ იდარდო, თორემ რძე დაგაკლდება, უთხრა ნონემ ცოლს, როდესაც დათიკო გამოვიდა.

— ნონე, ჩემი შაქრო დამიკოცნე, გაუფრთხილდი... წარმოსთქვა მართამ და თვალებზე ხელცახოცი მიიფარა.

— შენ ჭკვიანად იყავ, შაქროს არაფერი უშავს. იქ არა ვართ მე და დედაჩემი!.. მშვიდობით. . დაუმატა ნონემ, ჩამოართვა მართას ხელი და აჩქარებით გამოვიდა.

თვალცრემლიანი მართა შებრუნდა ოთახში. დესიკო ხედავდა მართას მწუხარებას და გულში უხაროდა, რომ ეს ნატოსთანა არ იყო.

— მაინც ხომ არ აგცილდებოდა ძიძათ გამოსვლა, მართა, სჯობიან რომ ჩვენთან მოხვედი, მართალია შენ შვილს ვერ ხედავ, მაგიერათ ქმარი მალ-მალ შეგატყობინებს მის ამბავს, შენც ფულს თავს მოუყრი და ოჯახს გაახარებ. სახლში გამოცდილი დახედული ადამიანი გეგულება და რა გაწუხებს!.. ეუბნებოდა დესიკო. მართა ამ სიტყვების ზეგავლენით თანდათან მშვიდდებოდა.

— მე შენ ლამაზ კაბას გიყიდი, საცვლებს დაგიკერავ, სუფთად ჩაგაცმევ, შეესმოდა მართას დესიკოს მომხიბვლელი სიტყვები და მართა კიდევაც ღიმებოდა.

დესიკომ აუსრულა თვისი დანაპირები; როგორც კი შესძლო კარზე გამოსვლა, რაც საჭირო იყო ყველაფერი უყიდა. მართას მაინც ფარული ნაღველი არ შორდებოდა, თვალწინ განუშორებლათ უდგა თვისი სახლკარი, პატარა შაქრო. პაწია, ახლათ დაბადებული ბავშვი. ვერ ივიწყებდა ექვსი თვის ცოცხალ გაფუნჩულ შაქროს, რომელსაც ხელში ძლივს იმაგრებდა, მერცხალსავით ფართხალებდა, ჭყივილით დედის გულს ახარებდა.

V

მართა ოსის ქალი იყო. ოჯახი, რომელმაც მართა რძლათ მოიყვანა, სხვებზე ღარიბათ სცხოვრობდა, თუმცა მართას ქმრის გარდა სახლში ორი ვაჟიკაცი კიდევ ტრიალებდა. მეზობლები სავსენი იყვნენ საქონლით,

სპილენძეულობით, ამათ კი ორი უღელი ხარის მეტი არ უჩნდათ და კიდევ ცხრა წლის ბიჭს ათიოდ თხა დაუდიოდა მინდვრათ.

— ჩვენი ბარაქა იმ ოხერმა ურადმა თან გაიტანა. რა ყველარი ხარკამეჩი დაგვაკლდა და კიდევ ვინ იცის, როდის გადავრჩებით!.. იტყოდა ხოლმე ბაბედა, მართას დედამთილი.

— უფროს რძალში უღელი ხარი და ერთი საარაყე ქვაბი წაიღეს, ახლა მართაში და შემოდგომაზე კიდევ ტატეა დასაქორწინებელი... იმას საიდგან ღა გამოვუძებნოთ!.. ე კაცები რასაც ხნამენ და თესენ, საჭმელადაც არა გვყოფნის! დაუმატებდა ბაბედა და საყვედურით გადახედავდა ორივ რძლებს, რომელნიც ამ დროს ოჯახში ფუსფუსებდენ. მეტადრე უფროსს რძალს, მაიკოს, ხშირათ ხვდებოდა საყვედური.

— რის მაქნისია, გენაცვალეთ! შვილი მაინც გასჩენოდა, ძიძათ წავიდოდა და სახლში რასმეს შემოიტანდა!..

ამ სიტყვების გაგონებაზე მაიკო მძიმეთ ამოიოხრებდა და ხმას კი არ გაიღებდა. ხუთი წელიწადი იყო, რაც რძლათ მოსულიყო და რახან აქამდის შვილი არ გასჩენოდა, მერეც იმედი აღარა ჰქონდა. თვითონ მაინც სწუხდა თავის უბედურობას, მაგრამ წუხილით ვერას აწყობდა.

— ადე, ქალო, წისქვილში წადი, ტომრით ფქვილი მოიტა!.. მოუბრუნდებოდა მას უკმეხათ ქმარიც, თვითონ კი ცეცხლაპირას ზარმაცათ წამოწოლილი ჩიბუხს აბოლებდა.

მაიკო ხედავდა, რომ არც ქმარი იყო მისი კმაყოფილი.

მართა ხედავდა ყველა ამას და შიშით გული უძგერდა, ვაი თუ ესეც უშვილო გამომდგარიყო და მით თავზე ოჯახის რისხვა დაეტეხა.

მალე მართას შიში გაიფანტა, ის უკვე მოელოდა შვილს და სახლში მყოფებმაც დაუწყეს ფერობა.

— მართა ძიძათ უნდა წავიყვანო, თვეში ათ, თორმეტ მანეთს, თავათ მეტსაც ავიღებ. კაცო, ეხუმრები თვეში თორმეტი მან. რომ შემოვიდეს ოჯახში!.. ამაყათ იტყოდა ხოლმე ნონე. უნცროსი ძმები ღიმილით ეთანხმებოდენ, მარტო მაიკოს ქმარი ხმას არ იღებდა, შურით გადახედავდა მართას და შემდეგ გაბღვერდა მაიკოს, რომელიც დამნაშავესავით კერასთან მოკუნტულიყო.

მართას გონება დიდხანს არ ჩერდებოდა ქალაქში წასვლაზე. ეს კმაყოფილი იყო მით, რომ ოჯახი მას სწყალობდა და მომავალს მორჩილებით მოელოდა.

გავიდა დრო. მართა დედა გახდა. თავდავიწყებით დახაროდა ძვირფას, პაწია არსებას, მაგრამ რაც უფრო დრო გადიოდა გული მოუსვენრათ უშფოთავდა...

— ძიძათ რომ წავიდე, ხომ თავი უნდა დავანებო ჩემ პაწია შაქროს!.. ამ გახსენებით მართას გული მწვავათ გაისერებოდა.

— არა, არ შემიძლიან!.. მე უშაქროოთ ვერ გავძლებ. . დაუმატებდა მართა და მაგრა მიიკრავდა გულზე შვილს.

— რა ოხრათ დავარჩენ ფულს!.. ფული კი არა სიცოცხლეც არ მინდა უჩემ-ბიჭოთ არა, ნონეს ვეტყვი რომ არ წამიყვანოს, ამბობდა გულში მართა.

ზამთარი ილეოდა, მაგრამ სუსხი მაინც წინანდელი შერჩენოდა და გარემოს ჰყინავდა. დიდ ხის ჭდეულში შუა ადგილზე ცეცხლი ენთო, მთელი ოჯახი გარს შემოსხდომოდა, კაცებს თავი მოეყარათ, ბაბედა ჩოხის შალსა ჰქსოვდა და თან ფეხით აკვანს არწევდა. ამ დროს კარმა გაიჭრიალა, ოთახში შემოვიდენ წელში მოხრილი მაიკო და მართა, რომელთაც ზურგზე წამოეკიდათ შეშის ვეება გუდურები და ხვნეშით დაჰყარეს კუთხეში. ქალებს სიცივისაგან სახე დალურჯებოდათ.

— ცივაა!.. კანკალით წარმოსთქვა მართამ და თამამათ გადავიდა ცეცხლისკენ. მაიკო კი მოკრთალებით, შეუმჩნევლათ მიუჯდა მართას გვერდით და დაიწყეს ხელების თბობა.

— უფრო თბილათ ჩაიცვამდი, ქალო, მიუბრუნდა ბაბედა აკანკალებულ უნცროსს რძალს, მაიკოსთვის კი არც კი შეუხედნია. ამ დროს შაქრომ აკვანში დაიტირა და მართაც გაუბრუნდა.

— ნეტა ჩქარა გავიდეს ეს ოხერი თვეც, მოუთმენლათ სთქვა ნონემ.

— ზაფხული კარგია, ზამთარში მუშა ტყუილათ სცდება... დაუმატა მეორე ძმამ.

— გაზაფხულდება თუ არა, მე და მართა ქალაქისკენ გავწევთ, სთქვა ნონემ.

ამის გაგონებაზე მართა შეკრთა და ქმარს მიაჩერდა. ამას თითქო კიდევაც დავიწყებოდა, რომ ძიძათ უპირებდენ წაყვანას.

— ნეტაი შენა, მართა, რომ ქალაქში მიდიხარ! რო იცოდე რამდენ რამეს ნახავ, რა რიგათ ანებიერებენ ძიძას, რა ტანისამოსს აცმევენ! სხვა მოსამსახურესავით კი არ არის აგდებული, ძიძა ქალბატონზე ნებიერია. დაილაპარაკა ბაბედამ და ძაფს გასწია.

— მართა მე ერთ საახალოხეს გამომიგზავნის.

— მე ქუდს... გაისმა ბიჭებში.

მართა შეინძრა, მიაჩერდა პატარა შაქროს, რომელსაც ოდნავათ პირი გაეხსნა და უზრუნველათ ეძინა.

— მაშ ქალაქში მივდივარ!.. შაქროს თავს ვანებებ?.. გაიფიქრა და თვალებიდან ცრემლები წამოუვიდა, მაგრამ საჩქაროთვე მოიწმინდა, რომ იქ მყოფთ არ შეენიშნათ. შემკრთალმა მართამ გადახედა მათ, მაიკო დაღონებული შემოჰყურებდა რძალს, უსიტყვოთ შენატროდა, მართას გულმა კი კვალათ დაიკვნესა და ცრემლებმა წამწმები დაუსველეს.

— შაქრო მაშინ ხუთი თვისა იქნება, რძესაკ კაგათა სჭამს, სთქვა ბაბედამ.

ნონეს არც კი შეუხედნია მართასთვის, ეს წინ-წინ ანგარიშობდა ძიძობაში აღებულ ფულს და მოთხოვნილებას იკმაყოფილებდა.

— ნონემ რომ ხელიც არ გაანძრიოს, მაინც დაუქირებლად იცხოვრებს... მართა ახალგაზდაა, უშვილო არ გამოადგა და დიდხანს, დიდხანს ივლის ძიძათ... ამ გახსენებით ნონემ ალერსით გადახედა ცოლს, რომელიც თვალებ ძირს დახრილი დაღონებული იჯდა.

აგერა მართა დარჩა ქმართან მარტოთ. მართა მივიდა, მხარზე დაადო ხელი და შეხედა თვალებში.

— ნონე, წარმოსთქვა მან.

— ნონე, ნუ წამიყვან ქალაქში... სახლში დამტოვე ჩემ შაქროსთან... მართას ხმა უკანკალებდა, ცრემლებსა ჰყლაპავდა.

ნონემ გაოცებით შეხედა ცოლს.

— რატომ, მართა?.. შენი ქალაქში წასვლა ჩვენთვის ძალიან საჭიროა, უთხრა ძალდატანებულის სიმშვიდით ნონემ.

— მე უშაქროოთ ვერ გავძლებ, ნონე, შაქროც უჩემოთ იდარდებს.

— ნუ სულელობ... შაქროს ბევრი გაეგება... პაწიაა, არც კი დაახსოვდები... შენც ასე გაჭირვებაში კი არ იქნები, როგორც აქა ხარ... ემანდა კაბა არა გაქვს, რომ ჩაიცვა, ეუბნებოდა ნონე.

— მე საქმე არ მაშინებს, ნონე, არც სილარიბე. დღეის იქით უფრო მოუმატებ ოჯახში საქმეს, თავს გავსწირავ, ოღონდ... ოღონდ... ქალაქში ნუ წამიყვან... განაგრძობდა ვედრებას მართა.

— დარჩები და შენც მაიკოზე უარესი დღე დაგადგება, ყველა მოგიძულებს, იქნება სახლიდანაც გაგაგდონ, ჩემს გარდა სხვებიც არიან ოჯახში... უთხრა უკმაყოფილოთ ნონემ.

მართამ იგრძნო, რომ ნონესთან ვერას გახდებოდა და დაიწყო ტირილი.

— რა დიდ ხანს შენ იქნები ძიძათ, წლის თავზე ისევ სახლში მოხვალ, იქნება უფრო ადრეც. ეხლა სოფელში რო დარჩე, პაპანაქება სიცხეში მინდვრათ უნდა დაიწვა, არ გირჩევნიან ქალბატონივით ოთახში იყვე?..

ნონეს სიტყვები ცივად ხვდებოდენ მართას გულს და უფრო აკვნესებდენ. მართა ჩამოეცალა ქმარს. ეხლა ეს ფარულათ შესთხოვდა ღმერთს, რომ ზამთარი ხელახლა დაბრუნებულიყო, გასასტიკებულიყო, მაგრამ ამის ჯიბრზე დღეები გარბოდენ, თოვლი დნებოდა, ჰაერი თბებოდა, გაზაფხული ახლო იყო.

— ზეგისთვის მოემზადე ქალაქში წასასვლელათ!.. უთხრა ნონემ ერთხელ ცოლს, როდესაც შემოვიდა სახლში. მის ხმაში უფრო ბრძანება იხატებოდა. მართა გაფითრდა და სახე გვერდზე მიიღო.

— გესმის თუ არა!.. მოემზადე მეთქი!.. შესძახა ეხლა კი წყრომით ნონემ და სახეზე მხეცური მეტყველობა გამოეხატა. მართა შეშინდა და მოუბრუნდა ქმარს.

— მესმის... ყრუდ წარმოსთქვა მან.

— ჰო და გესმოდეს, რასაც გეუბნებიან!

— მაიკო, ჩემი შაქრო გებრალებოდეს, მოვალ და მერე მე ვიცი მაგიერი პატივისცემა! ეუბნებოდა წასვლის დროს თვალცრემლიანი მართა რძალს.

— ფიქრი ნუ გაქვს, მართა, მე შენს შაქროს გავუფრთხილდები. შენ მშვიდობით იყავი და გული გაიმაგრე... თანაგრძნობით ეუბნებოდა მაიკო და თვალებიდგან ცხარე ცრემლსა ღვრიდა; გრძნობდა, რომ ურძლოთ ცხოვრება ერთიორად აუტანელი იქნებოდა მისთვის.

— ნახვამდის, მართა! შეესმოდა აქეთ-იქიდან, მართაც მათ ცივათ აძლევდა პასუხს, თითქო ყველანი შესძაგებოდენ. აგერა მართა მივიდა აკვანთან, რომელშიც შაქროს ეძინა. მართას მუხლები აუკანკალდენ და მძინარე ბავშვს დაემხო გულზე. გაისმა გულ შემზარავი ქვითინი, რომელსაც ხმას აძლევდა ბავშვის განწირული ტირილი.

— მართა!.. გამოდი დროზე!.. მრისხანეთ შემოიძახა გარედან ნონემ. მართამ რამდენჯერმე აკოცა შეშინებულ-ატირებულ ბავშვს და მოშორდა...

მეორე დღეს მართა ქალაქის ბაღში იჯდა, საიდანაც მალე წაიყვანეს დესიკოსთან.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარია.

(შემდეგი იქნება).

პროვინცია.

სოფ. პატარძეული (ობილ. მაზრა) 27 თიბათვეს, დილის 8 $^1/_2$ საათზე, საგარეჯოდან მომავალ დილიჯანს დაუხვდენ რამდენიმე შეიარაღებული კაცი, და მოსთხოვეს მგზავრებს ფული. თავზარ დაცემულმა მგზავრებმა, რაც ჰქონდათ, ყველაფერი გადასცეს. მერე ყაჩაღების ბელადმა უბრძანა ყველას ჩამოსულიყვენ დილიჯანიდან, რის შემდეგ თითო თითოთ დაუწყო ჩხრეკა. როცა დარწმუნდა, რომ მგზავრებს აღარა ჰქონდათ რა, ანიშნა ამხანაგებს მომზადებულიყვენ წასასვლელათ. წასვლის წინ ასე მიმართა ბელადმა მგზავრებს: „თქვენ არ გეგონოთ, რო ყაჩაღები ვიყვნეთ, ჩვენ ერთობის ხალხი ვართ; რადგან მთავრობა დაგვეძებს, ვერსად ვერ ვახერხებთ ცხოვრებას და თუ ასე არ მოვიქეცით, სიმშილისაგან დავიხოცებით.“ მერე უბრძანა მედილიჯნეს: „ვიდრე ჩვენ ამ სერს არ გადავიდეთ, ფეხი არ მოიცვალოთ, თორემ სიკვდილით დაგსჯით. ჩვენთვინ კაცი და ქათამი სულ ერთიაო.“ ამის შემდეგ არხეინათ გაუდგნენ გზას. მგზავრები ძლივს მოვიდნენ გონს. სულ აღმოჩნდა ებულიწად 150 მანეთი.

10 მკათათვეს ნიძირალები შეუვარდნენ აქაურ 60 წლის გლეხს, რომელსაც მოსთხოვეს ეთქვა, ვინ უფრო მდიდრათ ცხოვრობს სოფელში. შეშინებულმა მოხუცმა დაასახელა ზოგიერთი გლეხები, თუმცა აქ მდიდარი არავინაა. ამ გმირებმაც ყველა ჩაიწერეს და გაუდგენ გზას. გავიდა რამდენიმე დღე და ჩაწერილმა პირებმა მიიღეს მუქარის წერილები, სადაც მათგან თხოულობდენ ფულებს, ამან აქაური გლეხები ძრიელ ააღელვა.

ბევრი შეუგნებელი გლეხი ხალხში აარცელებს ხმებს, ვითომ ეს ერთობის ხალხის ბრალი იყოს და დღეის შემდეგ აღარ ენდონ, ვინც ერთობის სახელით მოვა აქაო. ის კი არ იციან, რო ერთობის ხალხი დიდი ხანია ყაჩალ-ნაძირალებს სდევნის.

აქაურ ინტელიგენტებს თუმცა საქმე ბევრი აქვთ გასაკეთებელი, მარა საღათას ძილს მისცემიან. სწავლა-განათლება აქ ძრიელ დაბლა სდგას. თუმცა არსებობს ორი ერთ-კლასიანი სკოლა, მაგრამ მათ ხალხის ნდობა ვერ დაუმსახურებია. ბევრი გლეხი არც გზავნის თავის შვილს სასწავლებელში, რადგან მთელი სამი წელიწადი უბრალოთ დაიარებიან ბავშვები სკოლებში და გათავების შემდეგ ან-ბანს ძლივს კითხულობენ. სკოლის გარდა არის კიდევ ორი ბიბლიოტეკა: ერთი გლეხებისა, მეორე ბრწყინვალე აზნაურებისა; მაგრამ რა საჭიროა ისეთი დაწესებულება, რომელიც ხალხისთვის ნაყოფს არ გამოიღებს. საგლეხო ბიბლიოტეკა ძრიელ ღარიბია, თუმცა 9—10 წელიწადია რაც არსებობს, მაგრამ შიგ ორმოცამდე პატარა წიგნს თუ იპოვით მარტო. ჟურნალ-გაზეთები აქ არ მოდის და ბიბლიოთეკაც თვეში ერთხელ თუ გაიღება, თორე სულ დაკეტილია. აზნაურებმაც აიღეს და დაკეტეს ბიბლიოტეკა თავიანთ საგვარეულო კოშკში და 1905 წლიდან თაგვები სჭამენ წიგნების ფურცლებს. აქაურ ინტელიგენტებს ყოველ წელს უმართიათ წარმოდგენები საქველ-მოქმედო მიზნით (ბიბლიოტეკისთვის და სცენის სასარგებლოთ). მაგრამ არ ვიცით, სად იყლაპება შემოსული ფულები. ეხლაც განიზრახეს ამ მიზნით წარმოდგენის გამართვა. ეს მეოთხე დღეა ჩხუბი აქვთ, როლების გნაწილებაზე და, მგონი, ერთ თვეს მოუნდებიან კინკლაობას, და მერე, შეიძლება, ითამაშონ. ასეთ ხალხის ხელშია ჯერჯერობით ჩვენი სოფლის კულტურული საქმეები.

ფრანცა.

ს. ბეოლიეთი. (გურია) ჩვენი სოფელი გაშენებულია მდინარე გუბაზოულის ნაპირას და უჭირავს მეტათ მთა-გორიანი ადგილები. სახნავ-სათესი მიწები ძალიან ნაკლებათაა. სიმინდს სთესენ მთა-ადგილებში, სადაც ნიაღვარი ხშირათ ანადგურებს ჭინახულს. ასე მაგალითად ამ ორი თვის წინათ ნიაღვარმა საკმაო ზარალი მიაყენა ხალხს. მას შემდეგ კი წვიმა თითქმის სულ არ გვღირსებია და ეხლა ეს გვიჭირებს საქმეს. საკმაო მოსავლის იმედი არც წელს არის, რაც ხალხს ერთიან წელში სტეხს.

ამ ექვსი თვის წინათ მგალობლიშვილმა დასჭრა ჩხუბის დროს აქაური მცხოვრები. ამის გამო ორი გვარი—კეკელიძენი და მგალობლიშვილები—გადაეკიდენ ერთმანეთს და ყოველ დღე მოსალოდნელია ახალი უბედურება. მიუხედავათ იმისა, რომ დამჭრელს უკვე გადაახდევინა ხალხმა დაჭრილის სასარგებლოთ ფული, შურის ძიება მაინც არ ისპობა. საჭიროა ამ გარემოებას შეგნებულმა პირებმა ყურადღება მიაქციონ და ბოლო მოუღონ ამ არა სასიამოვნო მოვლენას.

თითქმის ყოველ-დღე ჩვენი სოფლის დუქნებთან თავს იყრის ახალგაზდობა და დროს ლაზღანდარობასა და ხშირათ არა სასიამოვნო ლაპარაკში ატარებს. გაზეთის ან წიგნის კითხვა არაფრათ ეპიტნავებათ, და ლაყბობა რომ ბევრს ვერაფერს მოგვიტანს, ესეც ცხადია, ამიტომ უადგილო არ იქნება მეტ დროს თვით განვითარებას მოანდომებენ და ნაკლებს დუქანთან ტუყილ-უბრალოთ ჯდომას.

არნერი.

ქ. ოზურგეთი. ამ დღეებში ქალაქის თვითმართველობამ გამოაკრა სია იმ პირებისა, რომელთაც აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა ქალაქის თვით-მართველობის ახალ არჩევნებში არჩევნები არის დანიშნული მიმდინარე წლის 16 აგვისტოს. ამის გამო აქაური რეაქციონერები დაფაცურდენ, რომ თვით-მართველობაში თავიანთი კაცი გაიყვანონ, და შექმნან ისევ ძველებური თვითმართველობა, რომელიც ალმაცერათ უყურებდა პროგრესიულ და კულტურულ საქმეებს და მისთვის შეუფერებელ როლს კისრულობდა. რას წარმოადგენს დღევანდელი ოზურგეთი? ქუჩები მოუკირწყლავი, ტალახით და ყოველივე სიბინძურით სავსე, გაუნათებელი და გაპარტახებული. ქალაქის ბაღი, რაც ზაფხულობით მშვენიერ სასეირნო ალაგს წარმოადგენს კაზაკების ცხენების საჯინიბოთ გადააქციეს. გააუქმეს საექიმო განყოფილება, სადაც ღარიბ ხალხს შეეძლო მიეღო იაფ ფასებში ექიმის რჩევა-დარიგება და სხვა... ერთი სიტყვით ნაცვლათ იმისა, რომ ქალაქის საქმე წინ წაეყვანათ, ძირს დასცეს და უკან დასწიეს. აი ამფერი იყო ოზურგეთის ქალაქის თვით-მართველობის ოთხი წლის მოღვაწეობა.

ახლა მას გაუთავდა ვადა და იწყება ახალი არჩევნები. ამ არჩევნებშიაც უნდათ ოზურგეთის „ყორნებს“ გაბატონდენ; ამისთვის არ ერიდებიან არავითარ ზომას და ხრიკს. ცდლობენ, რომ არჩევნებს, რაც შეიძლება, ცოტა ხალხი დაესწროს. საჭიროა, რომ არავინ დაიკლდეს არჩევნებს და არ დაკარგოს თავის ხმა. ყველა ამომრჩეველმა სერიოზულათ უნდა მოჰკიდოს ხელი საქმეს, და კარგათ გაითვალისწინოს საქმის ვითარება, ასწონ-დასწონოს ვინ უფრო გამოსადეგია მისთვის, ვინაა მისი მოჭირნახულე და მისი ინტერესების შეუდრეკელი გუშაგი და იმას მისცეს ხმა.

გრ. პუპიშვილი.

ავსტრიის მომხმარებელ საზოგადოებათა კონგრესზე.*)

წერილი ვენიდან.

მომხმარებელ საზოგადოებათა სარგებლობა მუშათა კლასისთვის დამოკიდებულია დრო და გარემოებაზე: არის მუშათა ცხოვრებაში იმგვარი მომენტები, როდე-

*) იხ. ჩვენი კვალის № 9

საც მომხმარებელ საზოგადოებათა მოქმედება არამც თუ არ ემსახურება, პირიქით შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს მუშაოა ინტერესებს. ასე მაგ. თუ მუშათა კლასს თავისი საკუთარი კლასობრივი ინტერესები ჯეროვანათ გათვალისწინებული არა აქვს, თუ კი ის პოლიტიკურათ მოუმზადებელია, მაშინ მისი მომხმარებელ საზოგადოებათა საქმეში ჩათრევა სახიფათოა. კლასიური წინააღმდეგობის შეგნება უეჭველია ძნელდება, როცა მუშებს რაღაც საერთო საქმე უჩნდებათ საზოგადოების სხვა და სხვა ნაწილებთან, როცა მუშა, გლეხები, წვრილი მესაკუთრე და მოხელე ერთ კავშირშია არეული და ამა, შეუგნებელ მუშამ როგორ უნდა შეიგნოს ან და აწარმოოს კლასთა ბრძოლა, როდესაც გარეგნულათ წვრილ მესაკუთრეებთან და მოხელესთან ერთი და იგივე საქმე აინტერესებს. მეორე მხრით, ამას კიდევ ერთი გარემოებაც ზედ უნდა დაუმთოთ, რომელიც არა ნაკლები ძლიერებით ლაპარაკობს მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობაზე მუშათა კლასისთვის მხოლოთ ერთგვარ სოციალურ-პოლიტიკურ პირობებში, და არა ყოველთვის და ყოველგან. ცხადია, მომხმარებელ საზოგადოებათა არსებობა დამოკიდებულია, სხვათა შორის, საწევრო ფულის გადახდაზე; თუ კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მუშათა კლასი ჯერ პოლიტიკურათ არ შეკავშირებულა, მაშინ თვით მუშათა კლასში გაჩნდება ერთგვარი არისტოკრატია, რომელიც შესძლებს საწევრო ფულის გადახდას, მეორე ნაწილი კი, რომლის სამუშაო ხელ-ფასი ძლიერ მცირეა, იძულებული იქნება ამ საზოგადოებაში შესვლას გვერდი აუაროს და მტრულის თვალით უცქიროს თავის მოძმე მუშას. ამგვარათ, მაშინ მუშათა შორის იბადება ვითომდა რაღაც სოციალური განსხვავება, რომელიც იწვევს ერთის მხრივ შურლს, ზიზღს და უსიამოვნებას, მეორე მხრით ამპარტავნობას და გადაჭარბებულ პატივის-მოყვარეობას. ამ ორ გარემოების სახეში არ მიღება—დიდი შეცდომა იქნებოდა იმისთვის, ვინც მუშათა ინტერესებით ხელმძღვანელობს და მუშათა სახელით ლაპარაკობს. სულ სხვაა როდესაც მომხმარებელ საზოგადოებათა დაარსება თვით მუშათა კლასის განვითარებას მოსდევს; როდესაც კლასი საკმარის გახსნილ გონების პატრონია და ჯეროვანათ პოლიტიკურათ გაწვრთნილია, როდესაც თვით პოლიტიკური პარტია იკისრებს ხელმძღვანელობას ამ საქმეში, თქმა არ უნდა, მაშინ რაიმე შიშს ალაგი არ ექნება და მომხმარებელ საზოგადოებათა სარგებლობაც მუშათა კლასისთვის საეჭვო არ იქნება. ვამბობ, პარტიის ხელმძღვანელობა მეთქი, ამით არ უნდა ვიგულისხმოთ, რომ საჭიროა მომხმარებელ საზოგადოებათა პარტიულ ორგანიზაციათ გადაქცევა. სრულებითაც არა. საჭიროა მხოლოთ პარტიის გავლენა, მისი ყურადღების მიქცევა, მისი ყოველთვის ფხიზლათ ყოფნა და გაძლიერებულ ენერგიით ცდა, რომ მუშათა ინტერესები შელახული არ იქნეს; საჭიროა, ყოველ მუშას გულდასმით ახსნილ ექნას ნამდვილი, და არა გადაჭარბებული მნიშვნელობა ამ საზოგადოებისა მისი საბოლოო მიზნის განხორციელებისათვის; უნდა აღიარებულ იქნას მესამე მხარეთ საზოგადოთ მუშათა მოძრაობისა და იგი უნდა დაახლოებულ იქნას ორ დანარჩენ ორგანიზაციებთან, სახელდობრ პოლიტიკურ და პროფესიონალურთან. ამ გვარი დაახლოების გზა ევროპაში სულ ცოტა ხანია, რაც აირჩიეს. განსაკუთრებით ავსტრიაში ვხედავთ დიდ ნაყოფს.

თუ როგორია დამოკიდებულება ავსტრიაში ს.-დ. პარტიის და პროფესიონალურ კავშირების მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირთან, ამას ნათლათ გვირკვევენ დელეგატები. ამხანაგი ჰუებერი პროფესიონალურ კავშირების სახელით აუწყებს კრებას, რომ მუშათა კლასის ბრძოლის გამარჯვებით დაგვირგვინებისათვის საჭიროთ უნდა ჩაითვალოს მრავალი სხვა და სხვა ნაირი ორგანიზაციები. „პოლიტიკურ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს“, ამბობს იგი, „დღეს ემატება აგრეთვე კონსუმენტთა (მომხმარებელთა) ორგანიზაციებიც. ჩვენ ძლიერ დიდი წვლილი შევიტანეთ კონსუმ-ფერაინების გაძლიერება-განვითარების საქმეში მით, რომ ძველი თვალთაზრისი, ძველი შეხედულება უკუ ვაგდეთ,—მე ვამბობ იმ შეხედულებაზე, რომელიც ღაღადებდა, კონსუმენტთა ფერაინები მუშათა კლასის განვითარებას აბრკოლებს და წინ ეღობებაო. დღეს კი ჩვენ ყველანი დარწმუნებული ვართ, რომ კონსუმ-ფერაინების ორგანიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებათაგანია მუშათა კლასის გასამაგრებლათ და მის განვითარების გასაძლიერებლათ. ამ აზრის მატარებელი ვიქნებით ჩვენ აგრეთვე მომავალშიაც და პარტია, ისე როგორც პროფესიონალური კავშირებიც, მხარს დაუჭერს ამ საქმეს. ეგრე შეერთებულათ დაუხვდებით ჩვენ ჩვენს საერთო მტერს, და თქვენ ნახავთ, რომ მის უკუ ქცევა მაშინ სულ ადვილი საქმე იქნება“. ს.-დ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელი, ამხ. ემმერლინგი, ამგვარათვე ლაპარაკობს. ის ახსენებს კრებას იმ დროს, როდესაც კონსუმ-ფერაინები სხვა პროლეტარულ ორგანიზაციებთან ერთი ჯაჭვით არ იყო გადაბმული და როდესაც პარტიის გავლენიანი ამხანაგები გვერდზე იყვნენ გამდგარი. „საბედნიეროთ—ამბობს ის—დღეს ჩვენ შევიგნეთ, რომ წვრილ-მრეწველ ვაჭართა მიერ მუშათა კლასის გაყვლეფის წინააღმდეგ გამკვლავება პარტიას და პროფესიონალურ კავშირებს ვერ მიენაბრება. ამის გამო ჩვენ სავსებით შევცვალეთ პოზიცია კონსუმ-ფერაინების მოძრაობის მიმართ. მას შემდეგ, რაც პროფესიონალურ კავშირთა კონგრესზე, მას შემდეგ, რაც პარტეიტაგზე კონსუმ-ფერაინები გამოცხადებულ იქმნა პოლიტიკურ და პროფესიონალურ მოძრაობის შემავსებელ ორგანიზაციათ, მას შემდეგ კონსუმ-ფერაინების მოძრაობამ მოულოდნელი და საოცარი აღმაფრენა და ზრდა მიიღო. რაც პროფესიონალურ კავშირებს და პარტიას გაკეთება შეეძლო, მათ გაუკეთეს და მომავალშიაც უკან არ დაიხევენ“. აი, როგორ უყურებს დღეს ავსტრიაში კონსუმ-ფერაინების მოძრაობას პარტია და პროფესიონალური კავშირები. ეჭვს გარეშეა, პოზიცია მათი მისაღებია და ცხოვრების საჭირო-

ებისაგან გამომდინარეობს. ავსტრიაში დღეს მომხმარებელ საზოგადოებათა მნიშვნელობის უარ ყოფა მუშათა კლასისაგან შეუძლებელი და შეუწყნარებელია.

თავის მოხსენებაში ამხ. ნეგოლი დაწვრილებით აგვიწერს კონსუმ-ფერაინების სახელოვან და სასარგებლო მოქმედებას; ის სხვათა შორის გვაუწყებს, რომ მრავალი სამეცნიერო კურსები და წიგნთ-საცავ-სამკითხველოები დაარსებულ იქმნენ კონსუმ-ფერაინების შემწეობით. საგულისხმოა თვით კონსუმ-ფერაინთა რაოდენობის ზრდა. ერთი წლის განმავლობაში,—1906-1907 წლამდე,—86 მომხმარებელი და 15 მწარმოებელი საზოგადოებები დაარსებულა; ასე რომ 1907 წლის ბოლოს კონსუმ-ფერაინთა რიცხვი 439 უდრიდა.

დასასრულ კრებისაგან ერთხმათ მიღებულ იქნა ერთი რეზოლიუცია, რომელიც უმთავრესათ ეხება დღევანდელ მომენტის დაფასებას და მისთვის აუცილებელ საჭირო ანგარიშის გაწევას კონსუმ-ფერაინთა კავშირის მიერ. მომყავს სავსებითი ეს რეზელიუციაც:

„გამარჯვებული და შეუჩერებელი წინმსვლელობა კონსუმ-ფერაინებისა ბუნებრივათ აიძულებს წვრილ-მრეწველ-ვაჭართ გაშმაგებულ ბრძოლის გაჩაღებას იმათთან, ვინც მის მოგების შესუსტება-შეკვეცას უქადის. რამდენათ უფრო სასტიკ ხასიათს იღებს ვაჭართა გამოლაშქრება, იმდენათ უფრო ძლიერდება და ვითარდება კონსუმ-ფერაინები. ამიტომ შიში წვრილ-ვაჭართა იერიშის წინაშე კონსუმ-ფერაინებისაგან უსაფუძვლოა, და რომ ბრძოლა კონსუმ-ფერაინების წინააღმდეგ მხოლოთ ცილის-წამებით, ძალ-მომრეობით, მოტყუილებით და დაშინებით სწარმოებს,— ამტკიცებს თავის-თავათ იმას, რომ შეუძლებელია კონსუმ-ფერაინების, მომხმარებელთა ორგანიზაციის საქმის წინააღმდეგ ბრძოლა უფლება-სამართლიანობისა და გონიერების ნიადაგზე. ცხოვრებისთვის საჭირო საგნებით მოვაჭრენი (Sebensmiffelhändler) ყოველი ღონით ცდილობენ კანონ-მდებლობის თავის ინტერესებისთვის გამოყენებას, ისინი ეკედლებიან და უკავშირდებიან ყველა იმ პარტიებს, რომლებიც ერთის მხრით, როგორც დამცველები წვრილ, დაქვეითებულ მეურნეობისა, მზათ არიან ცხოვრებისათვის აუცილებლათ საჭირო საგნები გაამვირონ და მეორე მხრით, როგორც საშუალო წოდების პოლიტიკის მატერებელი, ეკონომიურათ რეაქციონურ პრინციპების ცხოვრებაში განხორციელებას არ ერიდებიან; ისინი მოწადინებულნი არიან მთავრობის დახმარებით მცხოვრებთა ფართო მასის ინტერესები ანაცვალონ ცალკე სოციალურ ჯგუფების ინტერესებს. კავშირი იღებს რა ყველა ამას მხედველობაში, აფრთხილებს და წინადადებას აძლევს პარლამენტს და მთავრობას, აგრარიების ეგოისტურ და ანტი-სოციალურ მისწრაფებათ ფრთა შეაკვეცოს და წინააღუდგეს; აქვე კავშირი დიდ იმედს ამყარებს პარლამენტში მუშათა კლასის წარმომადგენლების მოქმედებაზე და დარწმუნებულია, რომ მათი მოქმედება კონსუმ-ფერაინების უფლებათა შელახვის წინააღმდეგ არ იქნება მოკლებული საჭირთ ძალა და ენერგიას. თავის მხრივ კონსუმ-ფერაინები განაგრძობენ შეჩვეულ ბრძოლას და არ გაახარებენ მტერს. კავშირის წარმომადგენლებს ევალება საჭირო მზადებისთვის ეხლავე შედგომა. ამ მიზნისთვის საჭიროდ უნდა იქნას აღიარებული სხვა და სხვა გვარ ბროშიურების და ფურცლების გამოცემებით ფართო მასსას აეხსნას საქმის ნამდვილი მდგომარეობა, ერთის მხრით, მოწინააღმდეგეთა გაალმასებული თავ-დასხმა, მათ მიერ უპატიოსნო ბრძოლის იარაღის ხმარება, და მეორეს მხრით, კონსუმ-ფერაინების საქმის განსახორციელებლათ საჭირო მომზადებით და შეგნებით მტრის იერიშის მოგერება. უნდა იქნას დაარსებული აგრეთვე მუდმივი პრესის ბიურო, რომლის მიზანი იქნება სხვა და სხვა ინსტრუქციების და დარიგებათა მიწოდება ყოველ-დღიურ და პერიოდულ გამოცემათათვის. რაც შეიძლება მალე უნდა გამოიცეს ერთი საამხანაგო ხალხური გაზეთი, რომ ბრძოლის ერთი იარაღით მეტი გვქონდეს ახლო მომავლისათვის მოსალოდნელ ცხარე შეტაკებაში. შემდეგ ამ რეზელიუციის მიღებისა, ამორჩეულ იქნა კავშირის კომიტეტის და კონტროლის წევრები და კრება დაიშალა.

მ. მგალობლიშვილი.

დედა,

როგორც აღმზრდელი

(წერილები მუშა ხალხის დედებისადმი).

თარგმანი გერმანულიდან*) **სვ. კანდ—ის.**

წინასიტყვაობა.

ეს წერილები უმთავრესათ ბროლეტარ დედებისთვისაა დანაშნული. მისი მიზანია მიაწოდოს მუშა ხალხის დედებს აღზრდის შესახებ მეცნიერული თხზულება კი არა,—მოკლე, მდაბიო შინაარსის, აღვილათ გასაგები რჩევა-დარიგება და არა ბრაქტიკული გაფრთხილება ოჯახურ აღზრდის საქმეში.

ბროლეტარის ოჯახი ძლიერ მონდომებულია, რომ მოზარდ თაობის აღზრდის საქმეში ბირნაოლათ გამოვიდეს და ამის იმედიც აქვს იმას. შეგნებულ მუშას მუდამ ესმოვს, რომ მოზარდ-თაობას ეკუთვნის მომავალი. ბროლეტარის ოჯახს მომავლის უმაღლესი იდეალები, რომელზედაც თავის უკეთეს სურვილს და მისწრაფებას ამყარებს, წინ უნათებენ; ამიტომ ის განმხნევებული შეხარის მოზარდ თაობას—მომავლობას, რომელსაც შეუძლია თავის იდეალები და მისწრაფება დამშვენებული გულით მიანდოს. თანამედროვე კლასობრივი სახელმწიფოს სასკოლო ბროლეტარ მოზარდ-თაობას აძულებს მშობლიურ კერას; ამიტომ ბავშის აღზრდა ბროლეტარ მამისა და ბროლეტარ დედისთვის ორჯელ უფრო სერიოზული და ძნელია, ვიდრე სხვისთვის. ამ წიგნაკის მი-

*) ეს წერილები ამ რამდენიმე ხნის წინათ გერმანულ ენაზე გამოვიდა წიგნაკათ. მისი ავტორი—ჰენრიხ შულცე—შკოლანიშნავი პედაგოგია და მიმართულებით სოც.-დემოკრატი.

ზანიც ის არის, რომ იმათ ორთავეს, განსაკუთრებით დედას, რომელსაც ოჯახური აღზრდა კისერზე აწევს, ტოტალი მაინც შეუმსუბუქოს ამ მოვალეობის აღსრულება.

ამ წერილებს შეუძლია სახარების მგზავსი სამსახური გაუწიოს დაღონებულ და დაჯავრიანებულ დედას.

დეე, იყოს იგი ბროლეტარ დედის ერთგული მეგობარი და წრფელი მრჩეველი აღზრდის საქმეში.

ჰენრიხ შულცე.

შტეგლიც-მერლინი. 1907 წ. ოქტ.

I

აჩვენე კარგი მაგალითი.

ეს აღზრდის დიდებული კანონია! ათას სიტყვასა და კარგ სწავლაზე უფრო მეტი შეუძლია მისცეს ბავშს კარგმა მაგალითმა, რომელიც შენ თვითონ უნდა აჩვენო შენ შვილებს ცხოვრებაში. ყოველთვის და ყოველგან გახსოვდეს, რომ შენი ბავშები შენ შეგცქერიან, შენი ჭირ-ვარამი, შენი საქმეები იქცევს მათ ყურადღებას, მათი ყურები ხშირათ ისმენენ იმას, რაც ბავშმა არ უნდა იცოდეს, იმათ გადააქვთ შენგან და ითვისებენ იმას, რითაც იმათ ერთ დროს უნდა იხელმძღვანელონ. თუ გინდა, რომ შენ გყავდეს სიმართლის მოყვარული, გაბედული, თავისუფლების მოტრფიალე, ამტანი და გულწრფელი ბავში, თვითონ შენ მოექეცი სამართლიანათ ყველას, და იმ საქმეებშიაც, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით, მოიქეცი სამაგალითოთ. შენ უნდა იყო მაგალითი შენი ბავშებისათვის, როგორც პაწია, ისე დიდ საქმეებშიაც, გამოიჩინეთ ნამდვილი სივაჟკაცე; ნურასოდეს ნუ მოიქცევი ისე, როგორც მორჩილი მონა. თავი მაღლა გეჭიროს მუდამ, და განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე გაქვს ამა ქვეყნის „ძლიერებთან“. დაღვრემილი და ყურებ ჩამოყრილი ნუ დაბრუნდები სამუშაოდან, თუნდ შენ ეს არც კი მოგწონდეს, ან და არ გეხერხებოდეს; იმეცადინე თვით-განვითარებისათვის, ნუ ჩათვლი შენ თავს ისე ჭკვიანათ, რომ არ საჭიროებდე კიდევ რამე ახალის შეძენას. შენს ენას სიცრუეს ნურასოდეს ნუ კადრებ. დეე, იყოს შენი ბავში შენთვის სარკე, რომელშიაც შენ შენ თავს უნდა ხედავდე. თუ ეს სარკე ამღვრეულია, ბრალი შენ გიდევს და თუ გინდა ის მუდამ ანკარა იყოს, ჯერ შენ თვითონ უნდა იყო წმინდა და სპეტაკი; შენი ბავშის გულისათვის იყავ შენ ყოველთვის და ყოველ საქმესა და სიტყვაში ბრწყინვალე მაგალითი.

II

მამა, როგორც აღმზრდელი.

შენ, როგორც დედას, დიდი შრომა გჭირია აღზრდის საქმეში; შენ აძლევ ბავშს სიცოცხლეს ათას ტკივილებში და გაჭირვებაში. ის შენში საჭიროებს მაშინაც კი, როცა ჯერ კიდევ არაფერს ხედავს, და არაფერს ისმენს. მიუხედავათ ამისა შენ ქმარსაც ეკუთვნის შენი ბავში და ისიც მოწოდებულია დაგეხმაროს ბავშვის აღზრდაში, შეაჩვიე შენი ქმარი იყოს შენი დამხმარე ამ საქმეში. ბავშის დაბადების პირველ დღეებიდანვე არ არის არაფერი ისეთი ბავშის აღზრდაში, რომ მამასაც არ შეეძლოს იმის შესრულება და ხელი-ხელ ჩაკიდებული შენთან ერთად სიყვარულით სიარული. ეცადე, რომ მამამ ასეთ სამუშაოდან თავი არ გაინთავისუფლოს ხოლმე იაფი უარის თქმით: „ეს მამაკაცის საქმე არ არისო“. არც ერთი სამუშაო არ მოიპოვება, რომ მამა კაცისთვის სამარცხვინო იყოს, მხოლოდ იმიტომ რომ ის მამაკაცია და ყველაფერზე უფრო კი ეს აღზრდის საქმეზე ითქმის. პირიქით, მამისთვის ის არის სამარცხვინო, როცა მას თავის ბავშების აღზრდის საქმეში მეტი ვერაფერი საქმე უშოვნია გარდა წესიერებისა და სიწყნარის დაცვისა და ესეც იმიტომ, რომ ის ფიზიკურათ ძლიერია, ვინემ დედა. ცოლ-ქმარი ყოველგვარ საქმეს ერთათ და ერთნაირათ უნდა იტანდენ; მაშინ აღზრდის სიმძიმეც მათ შუა გაიყოფა და ორივე ერთნაირათ დასტკბებიან ბავშის აღზრდის სიამოვნებით.

ჰენრიხ შულცე.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

პასუხი ივ—იძეს.

„ჩვენი კვალის“ №7 მოთავსებულია წერილი ხონიდან, სადაც ბ-ნი ივ—იძე მეხება მე და ცილს მწამებს, თითქოს მე პარკები უნდა შეპაროს.

ასეთი ცილის წამება ბ-ნ ივ—ძესგან გასაკვირველი არ არის... საჭიროთ მიმაჩნია დაახლოვებით და მოკლეთ გავაცნო მკითხველებს, რაშიაც იყო საქმე.

ბ-ნი ივ—ძე და ერთი მისი ამხანაგი პირადის ინტერესებით იყვნენ გამსკვალულნი ჩემს წინააღმდეგ და რადგან იმ ხანათ „გენერლობა“ იშოვეს პრლიციის შემწეობით, მოვიდენ ჩემთან და როდესაც პარკის მიღება გათავებული მქონდა და ფულს ვურიგებდი მეაბრეშუმეებს, ერთი აწონილი პარკისათვის ასტეხეს ალიაქოთი, თითქოს ერთი გირვანქა პარკი მომეპაროს. რადგან ამ დროს ხალხი ბლომათ იყო, როგორც მეაბრეშუმეები ისე, გარეშეები და რომლებიდანაც აწონა უკეთ იციან, ვიდრე ბ-ნ ივ—იძემ, აწონეს ხელმეორეთ და გამოვიდა ისე, როგორც მე მქონდა აწონილი და უთხრეს რომ აწონილი სწორია, მარა ბ-ნი ივ—იძე მაინც ყვიროდა: „არა აკლიაო“, რის შემდეგაც მოვიდა ბოქაული, რომელმაც შეამოწმა წონა და გამოვიდა ისე, როგორც მე მქონდა აწონილი.

მადლობა ღმერთს, ამ ამბავს ბლომათ დაესწრო ხალხი, რომლებიდან ბევრი აღელდა ისეთი დემ.ოგოგობით, როგორიც ჩაიდინა ბ-ნმა ივ—ძემ.

ასეთია საქმის ვითარება. ეხლა მიგვინდვია მკითხველისთვის და უფრო იმათთვის, ვინც ამ ამბავს დაესწრო, დაგვდონ შესაფერი მსჯავრი.

გიორგი მაჭარაძე.

დ. ხონი. 24 ივლისი 1908 წ.

რედაქტორ-გამომცემელი **ანთ. გიორგობიანი.**

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. **„სორაპანი“**, მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა № 1.